

619  
1972



# ՀԱՄԱՆ

№ 1 0363360 1972



საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია (1971 წლის 8-9 დეკემბერი).

სურათებზე: ზემოთ — სხდომათა დარბაზში; ქვემოთ — დეპუტატები ხმას აღევენ კანონს „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ“

ფოტო მ. კვირიკაშვილისა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდით!

**ეკოუ**

№ 1 (422) იანვარი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

სოციალ-დემოკრატიული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხატვრო ჟურნალი

„ჩაუხარებოთ თვითაუღ მთავრებს სიყვარული თა-  
ვისი კოლექტივისადმი, პასუხისმგებლობის გრძობა ფა-  
რიკის მარკის ღირსებისათვის, პროფესიული სიამაყე“.

სკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან „სოციალის-  
ტური შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების შე-  
სახებ“.



# წლეუი და წუთი

წელ-წელა იცრიცება დამისეული ბინ-  
დი; ქარხნის ეზოში, ტანაშოლტილ ალვის  
ხეებს შორის, ავარდისფერებული აისის  
ფონზე თანდათან იკვეთებიან კორპუსები.  
საცაა ქარხნის საყვირები მუშებს მოუხმო-  
ბენ, ჯიმშერ ამირიძე კი უკვე აქ არის, სა-  
ამქროში და მყუდროებაში გარინდებულ  
დაზგებთან ფუსფუსებს.

ცოტაც და ეს მიძინებული მანქანები  
სულს ამოთქვამენ, ახმაურდებიან.

ასე იწყება სამუშაო დღე „ელექტრო-  
ავტომატის“ პლასტმასის ქარხნის საწნეს  
სამქროში.

ჯიმშერი მალაღ-მალაღი, წარმოსადეგი  
ახლაგზრდა კაცია, დაძარღვული ხელები  
და ფიქრიანი სახე აქვს. უკვე ოცი წუთია  
საწნესთან ტრიალებს.

სოფელში ვარ გზარდილი, ვიცი როგო-  
რია კარგი მუშა-კაცის დილა. მსე ემზადე-  
ბოდნენ დილით ყანის მკვლელები: ყველა  
ხელსაწყოს მოიმარაგებდნენ, ნამგალს  
ფხას გაუსინჯავდნენ, სამკვიდლსა და სა-  
თითეს გაიკეთებდნენ და მერე შეებმოდ-  
ნენ საქმეს.

მწნეხავი ჯიმშერ ამირიძე.

11831



ასეა ჯიმშერიც. მან ჯერ საწნესი მასა-  
ლა მოიმარაგა, სამუშაო ადგილი სამივე  
წნესზე მოამზადა, მოიმარჯვა საჭირო არ-  
მატურა, ხელსაწყოები, წნესების ვარგი-  
სიანობა შეამოწმა, ორ წნესზე მონომეტ-  
რები ჩართო, მესამეზე მაღალი სიხშირის  
გენერატორი გაუშვა და მუშაობას შეუდგა.

ჯიმშერმა შეკვეთას დახედა. იმ გრაფის  
გასწვრივ, რომელზეც ზოგადი დანიშნუ-  
ლების ფენობლასტისაგან დასამზადებელი  
კორპუსების რაოდენობა იყო აღნიშნული,  
წარმოების დღიური ნორმა 55 ცალის და-  
მზადებას ითვალისწინებდა, ხოლო თერ-  
მორეაქტიული საწნესი მასალისგან ელ-  
მავლის კამერის კედლის დამზადება ორი-  
ვე წნესზე გათვალისწინებული იყო 28  
ცალის ოდენობით.

— ჯიმშერ, დღეს რას აპირებ? — ამი-  
რიძეს შეუმიხნევლად წამოადგა თავს საამ-  
ქროს უფროსი გურამ კაკაშვილი, — რამ-  
დენს ჩავგაბარებ?

— ვფიქრობ, 120 ცალი კორპუსი და  
ორმოცამდე კამერის კედელი დავწნეხო.

მე წელან ყანის მკელი ვახსენე. მაგრამ  
როგორი რთულია მწნეხავის პროფესია.  
შედარებაც კი შეუძლებელია. საკმარისია  
აქ წამით მოაღუწო ყურადღება, რომ უქ-  
მად დაიკარგოს მასალაც და შრომაც...

ვინ მოთვლის, რამდენ ქართულ ელ-  
მავალს ჩაუდგა სული ჯიმშერ ამირიძის  
მიერ დაწნეხილმა კამერის კედელმა! ამ  
დეტალმა, რომელიც ელმავალში ელექტ-  
როსაინჰოლაციოდ იხმარება და ელექტრო-  
რკალს ახშობს, ცხრა კილოვატი დენის წი-  
ნააღმდეგობას უნდა გაუძლოს. თუ მწნე-  
ხავმა ზუსტად არ დაიცვა ტექნოლოგიური  
პროცესი, დეტალი ასეთ წინააღმდეგობას  
ვეღარ გაუძლებს და ელმავლის შენებაც  
შეფერხდება.

1.750 გრამი თერმორეაქტიული მასალა  
მწნეხავმა ყალიბში თანაბრად უნდა გაანა-  
წილოს და დაძაბული ყურადღებით ადევ-  
ნოს თვალყურით მონომეტრს, ზუსტად დაი-  
ცვას დაწნეხვისათვის განკუთვნილი 39  
წუთი და 17 წამი, რომ დეტალი სრულ-  
ქმნილი გამოვიდეს და წინააღმდეგობის  
შეგვედროსას არ გაიბზაროს.

შემდეგ, ახლად დაწნეხილი დეტალი,  
სახელმწიფო სტანდარტის მისაღებად, უნ-  
და მოთავსდეს თერმოკარადაში, სადაც  
160 გრადუსი ტემპერატურის ქვეშ 5  
საათს დაჰყოფს და მერე ტექნიკური კონ-  
ტროლი... მაგრამ ჯიმშერის ნახელავს უკვე  
ორი წელიწადია ტექნიკური კონტროლი  
არ სჭირდება. ის საკუთარი დამდიტ მუ-  
შაობს.

გუყურებ შრომაში ვართულ ახლაგზ-

რდა მუშას და ვფიქრობ — განა ადამიანის  
გმირობა სხვა რამეა? არა, აი ეს არის ნამ-  
დვილი გმირობა!

უზარმაზარ სამქროში მოფუსფუსე  
მწნეხავთა დიდი ნაწილი თითო წნესს ემ-  
სახურება, ეს კი სამს ერთად ამუშავებს.

მახსენდება დიდი სამამულო ომის ცეც-  
ხლოვან დღეებში დაბადებული სიტყვები:  
„გმირები ბრძოლის ველზე იბადებიანო!“;  
ამ სიტყვებმა ელვის სისწრაფით მოიარეს  
ბალტიის ზღვიდან შავ ზღამდე გადაჭიმუ-  
ლი ფრონტის წინა საზღვრები, თუ არიერ-  
ვარდის ქვედანაყოფებზე და ჯარისკაცის  
გულს ხალას გრძობად იქცნენ. და ამ  
გრძობამ ბევრი ჭეშმარიტი გმირი მისცა  
სამშობლოს, რომელთა სახელები საქვეყ-  
ნოდაა ცნობილი.

ახლა კი გმირები აქ იბადებიან — საამ-  
ქროებში, მინდვრებზე, პლანტაციებში.

აი, თუნდაც ეს ქარხანა. ამ ადამიანთა  
შორის, ახლა მკლავმოუღლეულად რომ  
შრომობენ და დაზგათა მონოტონურ გუ-  
გუნს თავიანთ გულის ფიქრს აყოლებენ,  
არიან ნამდვილი გმირები, რომელთა შე-  
სახებ ჯერ არაფერი დაწერილა, მაგრამ  
ამაზე ისინი არ სწუხან, მინდობილ საქმეს  
არ დალატობენ, შრომობენ ნაყოფიერად,  
ექებენ ახალ ვზებს იმისათვის, რომ მათი  
მარჯვენის ბარაქა გაიზარდოს, პროდუქ-  
ციის ხარისხი სახელმწიფო სტანდარტს  
გაუტოლდეს და ქარხნის სამარკო ღირსე-  
ბა აუგად არაფინ მოიხსენიოს...

ჯიმშერ ამირიძე ჩუმად, უხმაუროდ  
ტრიალებს სამ წნესს შორის. აი ორ წნეს-  
ში ელმავლის კამერის კედლის დასაწნეხი  
ფორმები გააწყო 5-10 წუთის შუალედით  
და მონომეტრები ჩართო. აქ მოითავა საქ-  
მე — მანქანა წნესვაზე დააყენა და მაღა-  
ლი სიხშირის გენერატორის კარადა გა-  
მოაღო. კვირაკები ჩააწყო 120 გრადუს  
ტემპერატურაზე დასაწნეხად მოსამზადებ-  
ლად და წნეხიდან მოხსნა ახალი დეტა-  
ლი...

წუთები წუთებს მისდევენ, ყურადღე-  
ბად ქცეული, საქმეზე ზრუნვით და ფიქ-  
რით გართული ვაჟკაცი ჩაუქად ტრიალებს  
წნეხებს შორის. ხანდახან შეეხმიანება თა-  
ნამოსაქმეებს: გოდერძი მურჯიკელს, გო-  
გი კირვალიძეს, ნინო გიგაშვილს, ნოდარ  
ქოქოსაძეს...

ყოველთვის, ახალი წლის მიჯნაზე, ადა-  
მიანს იპყრობს ერთი ფიქრი: მის ცხოვ-  
რებაში რა კვალს დატოვა განვლილმა  
წელმა და რა უნდა გააკეთოს მომავალ  
ახალ წელს, ჯიმშერის მეხსიერებასაც ბე-  
ვრი რამ ტკბილად მოსაგონარი შემორჩა  
ახალი ხუთწლედის პირველი წლიდან: იმ

ქაქ. სსრ კ. მარქსის



### 12 პირობა

ო, ეს რაზეები ვინ მოაგელვია?  
ველზე კვალთა ურიცხვი გუთონის,  
პირველი ფრთოლა, პირველი ღელვა,  
პირველი თრთოლა მამულს ეკუთვნის.

კლდესაც კი მოსახვს ფოთლები ვაზის,  
მზის მახარობელ სხივთა ზიარის,  
სიტკბოს, სიყეთის და სილამაზის  
პირველი წყარო მამულში არი.

დაამხოვს ლექსის მრისხანე ძველი  
მტრებს — გაცოფებულთ და მუხანათებს,  
პირველი ფერი, პირველი ბგერა,  
პირველი რითმა მამულს ანათებს.

მა, საუკუნე შორს გაიჭიმა,  
მქმნის ახალ ოდებს, მიმნებს და საგებს,  
პირველი თოვლი, ქარი თუ წვიმა  
სამშობლოს უტკბებს სურათებს აგებს.

თუმცა გრძელდება დრო-ჟამის ბრუნვა,  
მრავალ ხეს მებს დატებება —  
პირველი ნატვრა, პირველი ზრუნვა,  
პირველი შიში მამულს ეტება.

არ ელის ამგვარ ყვავილებს ჭკნობა,  
რასაც პოეტის ცა უმოსია —  
პირველი ფიქრი, პირველი გრძნობა,  
პირველი ლექსი — სამშობლოსია!

ამ დილით ციცი ალურჯებს  
ყვავილებს, სიოსგან თელილს,  
ამ დილით მოველი ალურჯებს  
და კიდევ რაღაცას ველი.

ამ თვეში გაზაფხულს რა უნდა,  
მე მაინც ხალისით ვეძებ,  
თითქოსდა ჭერ კიდევ დაუმდნარ  
თოვლის კვალს გადახნულ ველზე.

ნეტავი ყვავილსაც სული აქვს?  
რაა სიყმაწვილის ძალა?  
ან რატომ არ მინდა სრულიად  
ამ დილით დარჩენა ცალად?

და ახლა სექტემბრის სისხამი  
აპრილის ლურჯ ფერებს არჩევს,  
ღრუბლები წვიმის წყალს მისხამენ,  
რომ ეს მოლანდება დარჩენა.

ხოლო ციციები ალურჯებს  
ყვავილებს, სიოსგან თელილს,  
ამ დილით მოველი ალურჯებს  
და კიდევ რაღაცას ველი.



ამა, ცისკრისა გაიხსნა კარი,  
დაეცა ცვარი ველს, უხვად ნამულს,  
პირველი ღეჭისი, პირველი პწკარი,  
პირველი სიტყვა ეკუთვნის მამულს!

სინათლე სივრცეს გადაედნობა,  
მთელი სამყარო შუქს უმოსია,  
პირველი ფიქრი, პირველი გრძნობა,  
პირველი განცდა სამშობლოსია!

მდღევარე დღეებში, როცა მთელი მოწინავე კაცობრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, სადაც მიმდინარეობდა ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა, მოწინავე მუშა ჯიმშერი ამირიძე კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს:

ჯიმშერის გული სიამაყით სახსეა. ის ახალი ქვეყნის მოწინავე მშენებელია, სამშობლოს სასახელო შვილი. ამ ქვეყნის გადარჩენისათვის გასწორდა თავისი სიცოცხლე მისმა მამამ, სამშობლოს ერთგულმა ჯარისკაცმა და გულადმა მეომარმა, რომელიც 1943 წელს დაეცა ბრძოლის ველზე. მამისეულ კერაზე გაიზარდა და დაეაყვაცდა ოთხი ძმა ამირიძე — ირაკლი, შოთა, მერაბი და ყველაზე უმცროსი ჯიმშერი. ყოველი მათგანი ჩაბმულია ჩვენი მჩქეფარე ცხოვრების ფერხულში, წელგამართული დგას დედაქალაქის სახელოვანი მუშათა კლასის რიგებში.

კარგი ბიოგრაფია აქვს ჯიმშერ ამირიძეს. როგორც კი მოიხადა თავისი მხედრული ვალი, 1963 წელს პლასტმასის ქარხანაში მოვიდა და მწნეხავის რთულ პროფესიას დაეუფლა. ორი წლის შემდეგ კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება დაიმსახურა, დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებისათვის მედლით დააჯილდოვეს, საპატიო ფოტოსტენდზეც გამოაჩვენეს მისი სურათი. ხოლო ვინ მოთილის ფულად ჯილდოებსა და მადლობებს!

ნდობა, პატივისცემა, მეგობართა სიყვარული აღაფრთოვანებს ახალგაზრდა მუშას. პარტიის წევრობის კანდიდატად მი-

ღების შემდეგ საამქროში მას აგიტატორობაც დაავალეს.

აგიტატორი! — დიდხანს ფიქრობდა ჯიმშერი, — ეს ხომ დიდი ნდობაა. მაშასადამე, შენ არა მარტო სიტყვით უნდა დარწმუნო მეგობრები პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ვალდებულ შესრულებისათვის, არამედ შრომის პირადი მაგალითებითაც.

მაშ უნდა იბრძოლოს პირადი ხუთწლიანი გეგმის 4 წელიწადში შესრულებისათვის.

ასე გადაწყვიტა ჯიმშერმა და ხუთწლედის პირველი წლის დავალება 9 თვეში

შეასრულა. დარჩენილ სამ თვეს კი მომავლის ანგარიშში უშვებდა პროლექციას. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ მოეცარა ხელი — კამერის კედლის რამდენიმე ცალი უხარისხო გამოუვიდა. მაგრამ სულ მალე გამოასწორა შემთხვევით დაშვებულ შიშვალს.

ახლა ჯიმშერი კვლავ წინ არის, კვლავ ჩვეულ ფორმაშია. მან გაბედულად გადააბიჯა მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის მიჯნას და ახალ წელს სამი თვის ნაწარმი ჩაუთვალა ვალდებულებების ანგარიშში.

გიორგი გოჩიაშვილი



# დიდოსტატი

## კონსტანტინე

ყოველი ჩვენგანი არაერთგზის ყოფილა მოწმე და თავისი თვლით უნახავს როგორ ხვდება ხალხი კონსტანტინე გამსახურდიას თბილისის ქუჩებში, ქართლსა და იმერეთში, კახეთსა და სამეგრელოში, რაჭასა და გურიაში, მთელ საქართველოში... არასოდეს დამავიწყდება ერთი სურათი, ამ ხუთიოდე წლის წინ რომ ვნახე: ჩაფიქრებული მიდიოდა კონსტანტინე ქუჩაში, შორიახლოს თქვესმეტ-ჩვიდმეტი წლის ყმაწვილები და ქალიშვილები მისდევდნენ; უცებ ერთი ქალიშვილი გამოეყო ამხანაგებს, გაიქცა, მოხვია ხელები, მკერდზე აკოცა და ლამის კისერზე ჩამოეკიდა მოხუც მწერალს. მერე თითქოს გონს მოეგო, დაიარსებინა, და ძლივს წარმოთქვა ბოდიშის სიტყვები. რა იცოდა იმ გონამ, რომ ბოდიში აღარ იყო საჭირო — აქ დიდმა საყვარულმა უკვე თქვა თავისი სათქმელი.

მახსოვს, მეორეჯერ, თელავიდან ვბრუნდებოდი. მინდორში, კოლმეურნე ქალებმა კონსტანტინეს ვინაობა რომ გაიგეს, ირგვლივ შემოუჭარნენ და ერთ-ერთმა მათგანმა, ხმაოთროლოდებულმა მკითხა:

— ბატონო კონსტანტინე, გვითხარით სად არის დედისიმედი, ცოცხალია თუ არა, იპოვნის თუ არა მას მეფე-ბატონი? (მწერალს მაშინ „დავით აღმაშენებელი“ ჯერ დამთავრებული არა მქონდა).

ასე ეკითხებოდა კოლმეურნე ქალი მწერალს და, ჩანდა, დედისიმედი მისთვის ცოცხალი იყო, ისე სწუხდა, როგორც განსაცდელში მყოფი ღვიძლი დისათვის შეწუხდება აღაშინანი.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შემეძლო, მაგრამ ესეც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი გატაცებით, როგორი მღელვარებით, როგორი განუწოვრელი სიყვარულით კითხულობენ საქართველოში დიდოსტატის კონსტანტინეს წიგნებს.

გიწოდოს მთელმა შენმა ხალხმა დიდოსტატი, გულში ჩაიხატოს შენი სახე და სახელი, ასე მგზნებარედ შეიყვაროს შენი წიგნი, შენი სტრიქონი — ამას იოლად ვერაფერს მიაღწევს, ეს მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულის ხვედრია.

ვრცელი და მდიდარია ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. და მთელი ამ დროის მანძილზე ყოველი ეპოქა მუდამ გამოარჩევდა იმ მწერლებს, რომლებიც სათავეში ედგნენ ლიტერატურული პროცესის მდინარეებს. XX საუკუნეში ეს დიდი აღიარება კონსტანტინე გამსახურდიას არგუნა წილად.

მთელ მსოფლიოში გაიტანა კონსტანტინემ საქართველოს სახელი, საქართველოს დიდი ისტორია და დიდი აწმყო. მის კალმის ქვეშ გაოცებულდნენ საუკუნეები, მის ტილოებზე ნათლად და ცოცხლად გადაიხატა დღევანდელი აღორძინებული საბჭოთა საქართველო. მან გვიჩვენა მემკვიდრეობითი ძაფები ძველსა და ახალს შორის, ერის სიციცხლის უწყვეტელობასა და უკვდავებაზე რომ შეტყუვდებენ.

ახალი და ნოვატორული მოვლენა იყო მწერლის პირველივე რომანი „დიონისოს ღიმილი“. ეს არის ამბავი ქართველ ახალგაზრდა კაცზე, ჯერ ისევე რევოლუციამდე უცხოეთში რომ გადაისროლა ბედა; მან, უცხოეთში განსწავლულმა და ბევრის მნახველმა, მოიარა ნახევარი მსოფლიო, პირთამდე აივსო მისი გული ქმუნებითა და მწუხარებით, და ბოლოს, ისე მოენატრა სამშობლო, როგორც დამწვარ და სიცხიან უდაბნოში მყოფს წყალი მოენატრება, სიცოცხლის მომნიჭებელი. და აი კონსტანტინე სავარსამიძე, მთავარი გმირი რომანისა, კვლავ ბრუნდება შინ, აწ უკვე თავისუფალ და განახლებულ სამშობლოში.

„ისევე აქა ვარ, ჩემს მიწაზე. როცა უცხოეთიდან საქართველოში დავბრუნდი, მეგონა ხელახლა დავიბადე. მახარებს საქართველოს მაღალი ზეცა, მე არსად მინახავს ასეთი თეთრი აქატის ღრუბლები, ასეთი გამშვივებელი ჰაერი, არც ბაღებს, არც ნეშოს ასეთი სურნელება არ უდის სხვაგან, ქვეყანას არ მოლანდებია ასეთი გათენება...“


ეს არის რომანი მთელი თაობის ბედზე. მწერლის მეორე რომანმა „მთვარის მოტაცებამ“ თვალწინ გადაგვიშალა 80-იანი წლების საქართველო, საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრება. აქ მწერალმა გვიჩვენა სამკვდრო-სასიცოცხლო შეჭახება ძველსა და ახალს შორის, მძაფრი გარდატეხები ყოფაშიც და ადამიანის სულშიც, გვიჩვენა ახლის გამარჯვება.



საქუშაო კაბინეტში.



„დროის“ რედაქციაში.



ტრიბუნაზე.

ისტორიულ რომანებში — „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“ ჩვენს თვალწინ გადაიშალა ძველი საქართველოს ცოცხალი მატანი. აქ გამოჩნდა ქართული ხალხის ძლევაშოსილება ხელგონებასა და კულტურაშიც, პოლიტიკაშიც, ქვეყნის შიგნითაც და საერთაშორისო ასპარეზზეც... ვის არ უწერია საქართველოს ისტორიაზე, მაგრამ ასე ძლიერად არავის განუცდია იგი, ასე არავის უგრძნებია და მკითხველისათვისაც უგრძნობინებია რომ გააძლიერებინა საქართველოს საშინელ ქარიშხლიან საუკუნეებში.

მწერლის მომდევნო რომანში — „ვაზის ყვავილობაში“ მთელი სისრულით გამოჩნდა თუ რა განუწოვრელი ძალის შრომითი და მხედრული სიმაჟაცე შეთავაზონა ჩვენს ხალხს ახალმა საბჭოთა ეპოქამ. აქ რომანისთვის თავისი გმირები მსოფლიო ასპარეზზე გამოაყვას. ალაუნის ნაპირებზე დაბადებულ ქართველ ქაბუტებს, მეორე მსოფლიო ომის დროს, ისტორიამ დააკისრა მოწაწილეობა მიეღოთ იმ დიდ ბრძოლაში სამშობლოსა და თავისუფლების გადასარჩენად, რომელსაც მთელი მოწინავე კაცობრიობა ეწეოდა. ავტორმა გვიჩვენა ისინი მსოფლიო გზებზე, გვიჩვენა, როგორც აღმოსავლეთ ევროპის განმათავისუფლებლები. ამ რომანში ნათლად აისახა ისიც, თუ რაოდენ შემწარავი, რაოდენ ჭოჯობითური იყო ის ხვედრი, რომელსაც მიტლერელები უმზადებდნენ მთელ კაცობრიობას.

ცალკე შესწავლას მოითხოვენ კონსტანტინე გამსახურდიას ბრწყინვალე ნოველები, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნის ქართული პროზის ისტორიაში, მისი მშვენიერი ესეები, რომელთაც დიდად აამაღლეს ქართული ფილოსოფიური და ესთეტიკური აზროვნების კულტურა.

კონსტანტინე გამსახურდიას ნაწერებში ჩვენ ვხვდებით და ვგრძნობთ ჩვენი სამშობლოს სიკეთესა და სიღამაზეს, ეს წიგნები ამაღლებენ ჩვენს სულს, ზრდიან ადამიანს, უჩვენებენ მას კეთილ გზას, ეს წიგნები არაფერა ბუშანიშმის, ძმობისა და დამშობის, ხალხთა მეგობრობის უკეთესი მოხილვის იდეალებით.

დიდ ქართველ რომანისტს, მწერალსა და მოაზროვნეს, აკადემიკოს კონსტანტინე გამსახურდიას 80 წელი შეუსრულდა. წლებმა ვერ მოტეხეს იგი, კონსტანტინე ძველებურად მოუსვენარი და დაუცხრომელია, სინტიმატურად გამოდის პერიოდული პრესის ფურცლებზე, წერს ახალ რომანს დიდ თამარზე. ვუსურვოთ ჩვენს საყვარელ მწერალს, სიტყვის დიდოსტატსა და მოაზროვნეს დღეგრძელობა და ახალი წარმატებანი ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი



**იკონებს კონსტანტინეს ძმისწვილი სვიმონ გამსახურდია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი**

ჩემი და ბიძაჩემის, კონსტანტინეს უშუალო ურთიერთობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მამა დაეკარგე. მაშინ რვა წლისა ვიყავი.

მე კონსტანტინეს მეტი პატრონი აღარ მჩრებოდა, ხოლო მის დედამისსწვილებში ერთადერთი ვაჟი ვჩრებოდი, უმრწემესი და საპატრონო.

თითქმის ყოველდღე, ან დღეგამოშვებით დადიოდი მასთან. ამას მაიძულებდნენ თავად ბიძაჩემი და ბიცილაჩემი მირანდა. იქ უნდა მესადილა. ზოგჯერ სკოლის გაკვეთილებსაც იქ ვამზადებდი, მერმე ეზოში ვთამაშობდი, ან ვთავალიერებდი უცხოურ დიდრონ წიგნებს, რომლებიც უხვად ეწყო ბიძაჩემის წიგნის კარადებში.

კონსტანტინე დღენიადგ მუშაობდა, სადილობის ხანს ისვენებდა. ძალზე ცოტას ჰქამდა. სასმელი აუცილებლად წინ ედგა. მისი დიდრონი, მეტყველი თვალები ჩვეულებრივ ჩაფიქრებული, სადღაც შორს მოშორილნი იყვნენ. მე მის პირდაპირ ვიჭექი ხოლმე და შევეყურებდი ამ საოცარ კაცს, რომლის ძალას და დიდ ინტელექტს ინტუიციით ვგრძნობდი, მაგრამ შინაარსობრივ ჯერ სათანადოდ ვაცნობიერებული არ მქონდა. მეამყებოდა, როცა მისი წიგნების ქებას ყურს მოვკრავდი, ვფურცლავდი და ვთავალიერებდი ამ წიგნებს — „ტაბუს“, „მარცხენა თვალით“, „მთვარის მოტაცებას“, „თვალთან“, „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენას“, „გოეთეს ცხოვრების რომანს“. არ ვიცოდი რა იყო „ტაბუ“, მივიკვირდა და საოცრად მაინტერესებდა, რას უნდა მოეტაცნა მთვარე.

მაშინ კონსტანტინე ცხოვრობდა ჯაფარიძის ქუჩის 13 ნომერ სახლში, ჯერ პირველ სართულზე, სადაც ერთი უზარმაზარი ოთახი იყო, რომელშიც ბუხარი ინთებოდა, მეორე — შედარებით მძიმე. ამ ოთახებს წინ ვრცელი, დახურული დერეფანი გასდევდა. კონსტანტინეს იქ ზუგარდა მუშაობა.

ამავე სახლის მესამე სართულზე გადასვლის შემდეგ მან ცალკე დიდი კაბინეტი მოაწყო. 1945 წელს გრიბოედოვის ქუჩის 21 ნომერ სახლში გადამოვიდა. ამხანად დაწყებული ჰქონდა იმ სახლის შენება, რომელსაც ახლა „კოლხური კოში“ ჰქვია.

ამ ხანებში კონსტანტინე ძირითადად „დავით აღმაშენებლის“ ტეტრალიოგიაზე მუშაობდა. მუშაობდა დღით და ღამით. მთელი გატაცებით. მისი შესვენება იყო უნივერსიტეტში ლექციების კითხვა, რომელსაც გარკვეულ პერიოდში ეწეოდა. მწერალთა კავშირის სხდომები, მეცნიერებათა აკადემიაში მიწვევა, მისი აკადემიკოსად არჩევის შემდეგ, ან სხვა საზოგადოებრივი საქმიანობა...

მაოცებდა მისი ენერჯია და უცნაური შრომისმოყვარეობა. ერთხელ თავი ასწია და მითხრა — სულო, დღეს ბალზაის ნორმას გადავჭარბე. მის

წინ უთვალავი ხელნაწერი ფურცლები ეწყო. გამეღობა, თანაც ვფიქრობდი — განა მარტო დღეს? ძალზე მკაცრი იყო მათ მიმართ, ვინც მუშაობაში, თუნდაც უნებურად ხელს შეუშლიდა. ასეთი რისხვის მსხვერპლი მეც რამდენჯერმე შევექმნილვარ.

კონსტანტინეს სახლის ეზოში, ჯაფარიძის ქუჩაზე, გარაუბი იყო მოთავსებული. შოფრებმა იქ რეპროდუქტორი მოიწყვეს. როცა კონსტანტინე ამაღლებულ პირველ სართულზე ცხოვრობდა, რეპროდუქტორის ხმა მუშაობაში ხელს უშლიდა. მან რამდენჯერმე სთხოვა გარაუბის გამგეს რეპროდუქტორი მოხსენით, რადგან იგი საერთოდაც მცხოვრებულს აწუხებდა. მაგრამ მისი თხოვნა არ შეისმინეს. მაშინ კონსტანტინემ ვადმოილო თოფი და ერთი გასროლით რეპროდუქტორის მათეული ზედ მიერთების ადგილას გასწყვიტა. ამ საქმეზე კარლო კალაძე ხუმრობდა — კონსტანტინემ რეპროდუქტორს ესროლა, მაგრამ მავთული ნახევრად გაწყდა და ხრიალი მორთო. ისეთი შემაძრწუნებელი ხმა გამოსცა, რომ მისი ნორმალურად მუშაობის პერიოდი სანატრელი შეიქმნაო.

სალამო ხანს, როგორც წესი, კონსტანტინე სასეირნოდ მიდიოდა. თან გაიყოლიებდა ხოლმე პატარა ცუგოს, სპანიელის ჯიშის მონადირე ძაღლს, პატრონის მოსიყვარულეს და მეტად გონიერს. იგი საბელის გარეშე ფეხაწყოებით მიჰყვებოდა მას გვერდით ისე, თითქოს ადამიანებთან სიარული სპეციალურად შეესწავლა. ყველა ეფერებოდა ცუგოს შინ, განსაკუთრებით უყვარდა იგი თამარს, მაგრამ საოცარის ინტუიციით ყველასაგან ოჯახის პატრონს, კონსტანტინეს, არჩევდა.

გვიან ღამით სეირნობიდან მობრუნებული კონსტანტინე კვლავ მუშაობდა.

იშვითად, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, იგი უთენია გასულა სასეირნოდ. კარგად გადმოსცა ასეთი გასეირნების შინაარსი აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა ერთ-ერთ თავის წერილში — დილით სასეირნოდ გამოსული ბატონ კონსტანტინეს შეგვხვდით, იგონებს იგი, მითხრა — ჩემმა გვირგვამმა არ მომასვენეს და გარეთ გამომიყვანესო.

ამჟამად, კონსტანტინე ბატონი სულ სხვა საუფლოში ტრიალებდა. ხშირად მეჩვენებოდა უწინ და ახლაც, რომ იგი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში სტუმრად მოსული კაცია, რომელიც უბრალო ყოფაში უხერხულადაც გრძნობს თავს.

მიუხედავად ამისა, იგი ყოველგვარ წვრილმანს ჰკვრეტს და ადვილად უღებს ალღოს. პირად საუბრებში ლიტერატურის საკითხებს ერიდება, თითქოს ისვენებს ყოველივე ამისგან. ხშირად კი უთქვამს — მწერლობა მეტად დიდი და მძიმე ტვირთიაო. შინაურებისაგან არავის გირჩევთ ამ გზაზე დადგომას.

საოცარი პუნქტუალობა ახასიათებდა. თუ რაიმეს დაგპირდებოდათ, აუცილებლად ასრულებდა დანაპირებს. მასსოვს ერთხელ გარკვეულ საქმეზე

უნდა წავსულიყავით და ქალაქის საბჭოს წინ დავინიშნეთ პაემანი. ორიოდე წუთი შემავიანდა. შორიდანვე შევნიშნე, შეთანხმებულ ადგილას იდგა იგი და მელოდა. საოცრად შემრცხვა ამ ამბის გამო. იმის შემდეგ, ვისაც არ უნდა შევეთანხმდე, ყოველთვის ადრე მივდივარ დანიშნულ ადგილას.

ოჯახის წევრებისა და მეგობრების მიმართ მულამ დამთმობი იყო. მისგანვე მასსოვს შეგონება — კაცმა თუ ვაწყენინა, მეორე დღემდე უნდა აცალო. იქნებ მოინანიოსო.

უბრალოება ახასიათებდა. განსაკუთრებით ხელოვან და მუშა ხალხთან. ასე ექცეოდა იგი მულამ მასთან მომუშავე შოფრებსაც.

არც ერთი საქმიანობა მას სათაყოლოდ არ მიაჩნია. უთქვამს — ყოველგვარი საქმე, რომელიც შრომასთანაა დაკავშირებული, კეთილშობილებაა. უნდა ეცადო მხოლოდ შენს საქმეში წარჩინებული იყო და არა-გალახაკი.

ადრე კონსტანტინეს მონადირე ძაღლები ჰყავდა. ეზოში მოხუცი გიქორა სახლობდა. ჯუჯა ტანის, წვერებგაბურქვნილი; გიქორას ძაღლები უყვარდა. უვლიდა, ასუფთავებდა და ეფერებოდა მონადირე სეირას და გერის. კონსტანტინეს ეცოდებოდა გიქორა, დაუძახებდა, გვერდით მოისვენებდა, ასადილებდა და ღვინოს შესამევდა. თანაც ეხუმრებოდა. კმაყოფილი გიქორა იცინოდა... ადრე უნახავთ — ეგრობული აკურატობით გამოწყობილი კონსტანტინე და გიქორა როგორ შეხმატკბილებული მსხდარან ეტლში.

შოფრებს ყოველგვარ დახმარებას უწევდა. საერთოდ გერმანული ხელმოშორება ახასიათებდა. მუშა ხალხთან კი განუთმომად გულუხვი იყო.

საოცრადამ ამ კაცში შეხამებული გერმანული რეჟიმი, გამოყოფილი გერმანიაში სწავლის პერიოდისა და ქართული ბუნება, სიმკაცრე და სენტიმენტალიზმი, საოცარი უშიშარობა.

ერთხელ აღმოსავლეთ საქართველოს საზღვართან, თავის შოფერ ავტოსტანსთან და თანმხლებ ფოთელ ნესტორ ბარამიძესთან ერთად, კონსტანტინე მტკვარს მიადგა. ამერიკულ ვილისში ისხდნენ. ხიდი არსად ჩანდა. კონსტანტინემ შეათამამა ავტოსტეტი — გადაეცურათ მტკვარით. გადაეშვა ვილისი მტკვარში, იღმუვლა და შეებრძოლა წყალს. ავტოსტეტი, არ შეგეშინდეს, მიდი! — ამხნევებდა კონსტანტინე შოფერს. ავტოსტეტი უშიშარი იყო. კონსტანტინეს ომხიანი შეძახილი კიდევ უფრო ამხნევებდა მას. ნესტორ ბარამიძე ვაფითრებული გაჰყვა ამ უშიშარ და საოცარ რაინდებს მტკვარს იქითა მხარეს.

შინ კონსტანტინესთან მრავალი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მინახავს სტუმრად მოსული. მათ მომხიბვლელი სტუმართმოყვარეობით ხვდებოდა ხოლმე ბიცილაჩემი მირანდა. განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდა თავის დროზე კონსტანტინეს აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან, პავლე ინგოროყვასთან, ქრისტეფორე რაჭველიშვილთან, აკადემიკოს გიორგი წერეთელთან, პროფესორ პაატა გუგუშვილთან, პროფესორ გიორგი გამყრელიძესთან, პროფესორ აკაკი გაწერელიძესთან, კონსტანტინე ჭიჭინაძესთან, დავით ლომიძესთან. ამჟამადაც მეგობრობს პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძეს, მწერლებს გიორგი ნატროშვილსა და რევაზ ჯაფარიძეს. მათი სტუმრობა ძალზე უხარია ხოლმე. მასთან ახლოს არაინა ანა კვლანდაძე, მუხრან მაჭავარიანი.

მეგობრების მიმართ კონსტანტინე თავდადებულია. ძალზე მძიმედ განიცადა ადრე აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გარდაცვალება. კონსტანტინე ჭიჭინაძის გარდაცვალებისას იგი პირველი მივიდა მის ოჯახში და თავს დასტრიალებდა.

პროფესორებთან, პაატა გუგუშვილთან და გიორგი (გია) გამყრელიძესთან ერთად არაერთხელ უმოგზაურია აღმოსავლეთ საქართველოს მთებში. პროფ. პ. გუგუშვილს შენახული აქვს ხევისურეთში ყოფნის ქამს კონსტანტინეს და ერთ-ერთ ხევისურს,

# გ ა ბ ო ნ ე ბ ე ბ ი

შესანიშნავი ქართველი პოეტი და დრამატურგი ვიქტორ გაბესკირია კონსტანტინეს ახლო მეგობარი იყო, კონსტანტინეს იგი უმცროს ძმასავით ჰყავდა მიჩნეული და ძალიან უყვარდა 1961 წელს, კონსტანტინეს დაბადების 70 წლისთავის იუბილესათვის მზადების დღეებში, ვიქტორმა „ლიტერატურული გაზეთის“ თხოვნით დაწერა ეს მოგონებები. ვაჭვეყნებთ მას ხელახლად.

## პალიასტომის ტაუში

კარგა ხნის წინათ, ჭერ ისევ ომამდე, კონსტანტინე გამსახურდია ფოთში მიიწვიეს, იქ მისი საღამო ეწყობოდა. თბილისიდან კონსტანტინეს აკაკი გაწერელია და მე გავეყვით... საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო; მწერლის გამოსვლების დროს ისეთი შთაბეჭდილება გვექმნებოდა, რომ მქუხარე ტაში ზღვის ტალღებივით მოიწვიდა მისკენ და მის ფეხებთან ცხრებოდა.

შემდეგ მრავალ ოჯახში მიიწვიეს, ბალნარებივით ლამაზ სუფრებს ახვედრებდნენ. ყველგან სიყვარულით ხედებოდნენ. ჩვენც, მისი თანამგზავრები, დიდად კმაყოფილნი ვიყავით კონსტანტინესი, ვინაიდან ხალხის უსაზღვრო პატივისცემის გამო ოდნავადაც არ შეცვლილა, თავმოწონება ოდნავადაც არ შეგვიწინავეს; პირიქით, სიყვარულით გვეპყრობოდა და კოლხეთის ძველ ქალაქში ტკბილ სიტყვებს ვარდის ფურცლებივით გვაყრიდა. მაგრამ საკვირველება მოხდა — ერთ დღეს კონსტანტინე სრულიად შეიცვალა, არა თუ თავმოწონებოდა ჩვენთან, არამედ უკმეხადაც დაგვიწყო მოპყრობა: ჩვენგან ხან პაპიროსის კოლოფის მიწოდებას მოითხოვდა, ხან ცივი სასმელი წულის მოტანას გვავალბებდა, რომელსაც როცა კი მივაწოდებდით, ტუჩებს თუ შეიხებდა, თორემ არ სვამდა.

როდესაც აკაკის შევევითხე მიწეში კონსტანტინეს ამგვარად შეცვლისა, მიპასუხა, რომ, ჩემს მათთან არყოფნის დროს, მონადირეების დღეუგაცია სწევია; თურმე ზვალ, დიდი, პალიასტომის ტყეში მიდიან შველებზე სანადიროდ და კონსტანტინეს ხელმძღვანელობა სთხოვესო. მერე რა აქვს ჩვენთან თავმოწონების-მეტქი, რომ შევევითხე აკაკის, — მიპასუხა:

— როგორ არა აქვს, კონსტანტინეს ორი დათვი ერთად ჰყავს მოკლული. ისიც სვანეთში, ჩვენ კი რა...

— ორ დათვს ერთად ვერ მოკლავდა, — მივუგე აკაკის, უკვე მეგობრის გამჭირდავი კაცის კილოთი, რამაც, ცოტა არ იყოს, გული მატკინა.

— მე ისიც არ მჭერა, ერთი რომ ჰყავს მოკლული, — მიპასუხა აკაკიმ და მომაგონდა, რომ ამგვარი ეჭვები სრულიად არ გამოგვიმუდგენია მაშინ, როდესაც დათვებზე ნადირობის ამბებს გვიყვებოდა კონსტანტინე. ახლა კი...

წიქას შორის გამართული ფარიკაობის ასახველი ფოტოსურათი. კონსტანტინე ჩოხაშია გამოწყობილი, თუშური ქუდითა და კეისრული წულებით, ხევსურის — ბოხობით და ხევსურული ტანსაცმლით.

ფარიკაობაში ხევსურს გამოუწვევია კონსტანტინე ხუმრობით. ფარიკაობას სერიოზული ხასიათი მიუღია, რადგან ხევსური ქალაქელი კაცის ამგვარ სიჩაუქეს არ ელოდა. ვაბრაზებულა იგი, თანასოფელელთა წინაშე რომ შერცხვა და საშიშად შემოუტია. მაშინ კონსტანტინეს ისე ძლიერად მოუქნევია ხმალი, ხევსურს ფარი გააგდებინა და მიწაზე დასცა. პროფ. პაატა გუგუშვილს ამ პროცესში გადაუღია აღნიშნული ფოტოსურათი. მერე კი ყველა წამოიკვნილა. ხევსური დაუოკებიათ, რამეთუ სტუმართა პატივისცემა მართებდათ, ბრძოლამ კი სერიოზულად ხასიათი მიიღო და შესაძლოა ცუდადაც დამთავრებულიყო.

აღრე კონსტანტინეს ხშირი პოლემიკა ჰქონდა პეკრალთა კავშირში. ვერ უგებდნენ მას ზოგიერთი

კრიტიკონი და თავს ესხმოდნენ. კონსტანტინეს გამოსვლებს, როგორც ცნობილია, დიდი ინტერესით ელოდა საზოგადოება. იგი მზვიდად, იუმორითა და სარკაზმით იგერიებდა შემოტევებს. შინ იმდენად დამშვიდებული ბრუნდებოდა, თითქოს არაფერი მომხდარყო. ვერავინ შეამჩნევდა დღის განმავლობაში რაიმე ამაღლელებელი თუ შეხვედრითა. სხვათა მოტანილი ამბით ირკვეოდა მსგავს შემთხვევას ადგილი თუ ჰქონდა.

ერთხელ იგი და კონსტანტინე ჰიქინაძე მოვიდნენ „ნაბრძოლინი“. კ. ჰიქინაძე ორჯანთან მივიდა და თავი შეუშვია მოღვნილ ცივ წყალს. ეტყობოდა ძლიერ აღელვებული იყო. ბიძაჩემი კონსტანტინეს სრულიად დამშვიდებული იცინოდა კ. ჰიქინაძის ასეთ შეცხადებაზე, ეხუმრებოდა და ამშვიდებდა მას.

კონსტანტინეს მეტად ზომიერი იუმორი ახასიათებდა მუდამ. მის მიმართ წარმოთქმული ხუმრობაც არასოდეს სწყენია, პირიქით, ახლაც,



კონსტანტინე ახალგაზრდობის წლებში.

მეორე დღეს ჩვენ მაინც კონსტანტინეს, როგორც მონადირეს. პატივისცემლები აღმოვჩნდით. ეს მოხდა იმის გამო, რომ დილით, როცა ჭერ კიდევ არ გათენებულიყო, ადგილთ — თავზე დაგვკვივლა და დაკეცილი თოფი ამოიღო ჩანთიდან, გამართვა დაუწყო, თანაც განმარტებებს გვაძლევდა, რომ თოფი სამღლულიანია, რომ დღეს შველებს — სამს თუ არა, ორს მაინც, — სწორედ იმ მესამე ლულიდან გასროლილი ტყვიებით მოკლავს, რომ თოფი ზაუერის ქარხნის ნახელავია და ერთ დროს ვიღაც ერც-პერცოვის კუთვნილებას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მისმა სანადირო მორთულობამ უფრო გაგვაკვირვა, ვიდრე მისმა თოფმა; ჩემოდნიდან ამოიღო და აქეთ-იქით დააწყო კრეფლარიანი დანა, რომელსაც ქარქაშად რომელიღაც დიდი ფრინველის მოკაუჭებული ნისკარტი ჰქონდა, ნადირის ტყავისაგან შეკერილი სავაზზე, ტყავის ბუფთარი, მათარა და უცნაურად შეკერილი მალაყულიანი წითელი წაღები, ძალზე სქელი ლანჩებით.

ჩვენ, როგორც მონადირენი არაფრის მქონენი არ ვიყავით და ამის გამო მზად ვიყავით კვლავ კონსტანტინესათვის გვემსახურნა, მაგრამ არაფერს არ მიგვაკარა; სანადიროდ მზადების პროცესში, ყველა ნივთს, მაგიდაზე, სკამებზე, თუ იატაკზე დაწყობილს, ისე ეპყრობოდა, როგორც ფანატისადამიანი მოეპყრობა საჭირო ნივთებს რომელიმე რიტუალის შესრულების დროს.

მოწუენილები შეეცქეროდით კონსტანტინეს საქმიანობას, მაგრამ მალე ჩვენც ვავიხარეთ: მონადირეების გამოგზავნილმა კაცმა სანადირო თოფები და ტანისამოსი მოგვითანა. მე და აკაკიმ სასწრაფოდ ჩავიცვით სანადირო ტანისამოსი, გრძელუელისანი რეზინის წაღები მოვიარეთ, სავაზეები შემოვიკარით, თოფები მხრებზე გადავიკიდეთ და, უკვე სანადიროდ მორთულნი კონსტანტი-

როცა შინაურები ვხუმრობთ, იგი ხალისით ებმება ხოლმე ამ ხუმრობაში.

გულს თუ გადაატანს კონსტანტინე ბატონი ჩვენს ხუმრობას. რამეთუ ის, ვინც ყოველივე ამას ახალისებდა, აღარაა. კოლხური კოშკის მეორე სართულზე, წიგნებითა და ნაწერებით სავსე დიდ მაგიდასთან, ბუხრის წინ ზის იგი. მწუხარეა. ვინ იცის, რა ფიქრები არ დასტრიალებს თავს. ხშირად უთქვამს — წუხელ ცუდად მეძინაო, მირანდა მესიზმრა, ანდა — ჩემს ძმებს ალექსანდრეს და ვიქტორს ვხედავდიო სიზმარში.

მასთან შესულს ჩვეულებისამებრ მეკითხება — მოშობული ხარ იქნებ, იქნებ რაიმე გინდა, ახლავე სადილი იქნება. ღვინო დავლიოთ ერთად.

არაფერი გვინდა, კონსტანტინე ბატონო, შენი კარგად ყოფნის მეტი. ესე სწაღიან შენს ქვეყანას, შენს ხალხს. ესე სწაღიან მაგიდაზე გადაშლილ ფურცლებიდან ლანდად ამოსულ თამარს.

ნეს ამოვუდევით გვერდით. რა თქმა უნდა, სად ჩვენ და სად ის... ის, მაღალ-  
ყელიანი წითელი წაღებით, ტყავის ძვირფასი ქურთუკით, თავზე ფაფახით და  
ხელში თოფით, ძველ გობელენზე მიხატულ მონადირეს ჰგავდა, ჩვენ კი...

მაგრამ მანაც ბედნიერად ვგრძნობდით თავს, რადგან ჩვენთვის დიდად  
მიწოდებულ სამყაროსკენ — პალიასტომის ტყისკენ ავიღეთ გეზი; მალე დანიშ-  
ნულ ადგილსაც მივუახლოვდით: ტყის პატარა მდინარის შესართავთან მონა-  
დირები შეგროვილიყვნენ, რომელთა გარშემო ძაღლები წყმუტუნებდნენ, ყუფ-  
დნენ. კონსტანტინემ ყველას გამამხნეველად ჩამოართვა ხელი, ყველას ტკი-  
ლად მიესალმა, მხოლოდ ერთი მეტად ახალგაზრდა მონადირის წინ შეიკრა წარ-  
ბები და მკვახე ხმით შეეკითხა:

— შენც ჩვენთან მოდიხარ?

ახალგაზრდა მონადირეს სახე აღიანძლა, ვერაფერი უპასუხა; თავი დახარა.

— მე წამოვიყვანე, — გამოცხადდა ახალგაზრდას მეტად წარმოსადეგი შე-  
სახედაობის მოხუცი მონადირე.

— მერე ცალპირიანი თოფით მოდის დიდ ნადირზე სანადიროდ? — ახლა  
უკვე მოხუცს მიმართა კონსტანტინემ მკვახე კილოთი. მოხუცმა უხერხულო-  
ბა იგრძნო, მაგრამ მოულოდნელად კონსტანტინე ღიმილით მიუბრუნდა იმავე  
ახალგაზრდას, რომელიც თავისი თოფის დამალვას ცდილობდა, მაგრამ ვერ  
ახერხებდა, და ასეთ ხუმრობას გაჰყრა კვების:

— მე არამონადირის ხელში ისევე ვერ ვიტან თოფს, როგორც არამწერ-  
ლის ხელში — კალამს.

მონადირებმა გულთანად გაიცინეს, ძაღლებმა ყეფას უმატეს და, ყველამ  
ერთად, იქვე ნაპირზე მოტორიან ნავებს მივაშურეთ.

ნავში მონადირებმა, პირველ რიგში, იმ დღისთვის მომზადებული სანოვა-  
გე ჩააწყვეს; კალათებსა და ღვინის კასრებს შორის ძაღლები ჩაცუტყდნენ, გარ-  
შემო ჩვენ შემოვუსხედით და ნავიც ქოთქოთით შეცურდა პალიასტომის ტბის  
მზით განათებულ სიჩუმეში.

— კოლხეთში ვართ, კოლხეთში, მებობრებო! — წამოიძახა უცებ მღელ-  
ვარებით კონსტანტინემ, წყალს ხელით დასწვდა, პეშვით აიღო და ყველას  
აიჭმისავით მოგვასხურა. — კოლხეთის სიყვარულით თბილისში მე მხოლოდ  
ამას ვეწვი, — დასძინა თავის ნათქვამს და ქურთუკის ზიბიდან ძვირფასი სი-  
გარტების „კოლხიდას“ ღამაში, მწვანე კოლოფი ამოიღო, მონადირეებს მია-  
წოდა; კოლოფს, რომელსაც თეთრ ქაღალდთან ერთად, ტყვის ქაღალდის  
ჰქონდა ამოწვდილი, პირველად მოხუცი მონადირის თიხის თიები შეეხო.  
შემდეგ სხვებისაც შევნიშნე; ჰაერში ცისფერი ბოლი გაჩნდა, ბოლი ხანდა-  
ხან ძაღლების სხეულზედაც ჩნდებოდა, ვინაიდან კარგ გუნებაზე მყოფი მონა-  
დირები ზოგჯერ ძაღლებსაც გადაუსვამდნენ ხელებს, მიუაღერებდნენ.

— ნადიში ნადირობის შემდეგ გვექნება, ახლა კი თუ გემებათ, — წამოი-  
ძახა ღამაში შესახედაობის, თმებში ოდნავ ჰაღარაშერეულმა მონადირემ, რო-  
მელიც, როგორც, შემდეგში გამოიჩინა, კოლხეთში მომუშავე ინჟინერი და  
თანაც დღევანდელი დღის ინიციატორი ყოფილა. კონსტანტინეს გვერდით  
მჯდარი მოხუცი მონადირე მიხვდა, თუ რას ნიშნავდა იმ მონადირის ნათქვამი  
და კალათიდან სიმინდის ნაქურჩალით დაცობილი ბოთლი ამოიღო, მზეს შეუ-  
შვირა და ბოხი ხმით განაცხადა:

— გურული არაყია, სანთლის არაყი, ვიცი გემებათ.

ვერცხლის პატარა სასმისმა რამდენიმეჯერ შემოუქროლა მონადირებს  
ჩიტოვით და როდესაც მოხუცი მონადირეს მეოთხედ გაჰყრა ფრთა ულგავებზე,  
კონსტანტინემ ხელები ღაღად გაშალა და აღგზნებული, გაღიმებული სახით  
წამოიწყო სიმღერა:

ვისაც მოუკლავს, ის მოჰკლავს  
ნადირსა შავი ტყისას!

მონადირებმა ხმები შეუწყვეს... კონსტანტინე ისეთი ტკიბილი ხმით და შთა-  
მაგონებლად მღეროდა, რომ აკაკიმ ყურში ჩამჭურჩულა:

— ვინ იცის, იქნებ მართლა ჰყავს დათვი მოკლული!  
ამასობაში სანადირო ადგილსაც მივუახლოვდით.

— ამის შემდეგ ჩემად უნდა ვიყო, თორემ ნადირი დაფრთხებაო, — გაგ-  
ვაფრთხილა ერთმა მონადირემ და ჩვენი ნავიც ტყით შემოქრულ პატარა ღა-  
მაზ მინდორს მიადგა, რომელზედაც დამკვიდრებული შემოდგომის დილა კი-  
დედ უფრო მიმწიფავი მოგვეჩვენა.

ნავიდან ძაღლებიც უხმაუროდ გადმოვიდნენ. ერთ ადგილას შეგჭრუდით,  
მინდორი იმდენად სუფთა და ღამაში ჩანდა, რომ იქ კონსტანტინეს მიერ დაგ-  
დებული „კოლხიდას“ ოქროშემოვლებული ნაშვიც მიუცხოვა.

მონადირეები დაუყოვნებლივ შეუდგნენ თადარიგს: ორმა ძაღლები წაი-  
ყვანა, ტყეს თურმე შორიდან უნდა მოუარონ, რათა იქ ძაღლები აუყუფონ, ნა-  
დირი დაფრთხონ და ჩვენკენ გამორიყონ.

დარჩენილები მოხუც მონადირეს რიგრიგობით შეჰყავდა ტყეში და მიუ-  
თითებდა, თუ სად უნდა ჩასაფრებულიყვნენ. მე და აკაკი კარგაზნს გვატარა  
მოხუცმა დაქაობებულ ტყეში, ბოლოს, ერთ მურყანის ხეებით დაბურულ ბე-



მონადირე. ნახატი ლ. გულიაშვილისა.

ქობთან შეგვანერა, თქვენ აქ იქნებით ჩასაფრებულნიო, გვითხრა და დარიგ-  
ბაც მოგვცა, თუ რა დროს, როგორ მოვეტყულებოდათ.

დიდხანს ვიყავით ხავსიან ხეებზე მიყრდნობილები, თოფმომარჯებულნი,  
ვერაფერს განსაკუთრებულს ვერ ვამჩნევდით. მხოლოდ ის იყო, რომ როცა  
ერთბაშად აუყვდნენ ძაღლები და თოფი გავარდა, ტყის თეთრი ყვავილები  
განსაკუთრებით დიდები მომჩვენდნენ.

რადაც განსაკუთრებულის მოლოდინში, აღბათ, კიდევ დიდხანს ვიქნებო-  
დით ხეებზე თოფებით მიყრდნობილები, რომ ჩვენსკენ მეზობლად ჩასაფრ-  
ებულ მონადირეს არ გამოვლო. ნადირობა დამთავრდაო, გვითხრა, რამაც მე-  
ტად გაგვაოცა.

ახლა უკვე მოურიდებლად მივიკვლევდით გზას ტყეში და თან გავცებუ-  
ლი ვფიქრობდით, ნუთუ ეს იყო ყველაფერი? ცხადია, თოფის იმ ერთ გას-  
როლასაც არავითარ მნიშვნელობას არ ვაძლევდით.

როცა კვლავ მინდორზე გავდით, შევნიშნეთ, რომ იქ შეგროვილი მონა-  
დირები განსაკუთრებით მხიარულ გუნებაზე იყვნენ. მისვლისთანავე მოგვაბა-  
რეს — შევლი მოვკალითო. გავიოცეთ, არ დაფიქრეთ.

— მერე, იცით ვინ მოჰკლა? — შეგვეკითხა ერთი მონადირე.

— ვინ?

— იმ ახალგაზრდამ, რომელიც კონსტანტინემ აითვალისწინა.

ის იყო, არ გვეტრაო უნდა გვეთქვა, რომ მონადირეები, გარდა კონსტანტი-  
ნისი, ერთბაშად ახმაურდნენ, ტაშიც კი შემოქრეს და ტყიდან ის ახალგაზრ-  
და, ცალპირიანი თოფით და მოხუცი მონადირე გამოჩნდნენ. მათ ჯობზე ფე-  
ხებით ჩამოკიდებული შევლი მოჰქონდათ; ახალგაზრდა მონადირე ბეთქილი-  
ვით ღამაში მოგვეჩვენა.

მონადირებმა როცა შამფურების გათლა იწყეს და ავიზიზებულ ცეცხლზე  
ქვაბი შედგეს, კონსტანტინემ, რომელიც თავისი წითელი წაღებით ტყის პი-  
რას იღდა, ხელი დაგვიქინა, გვანიშნა — ჩემთან მოდიოთ.

როცა მივუახლოვდით, საყვედურის გამოშხატველი თვალებით მოგვაჩერ-  
და და შეგვეკითხა:

— თქვენ იცით, თუ არა დღეს რა მოხდა?

— რა მოხდა? — გავცებულნი მივაჩერდით.

— ის შევლი ჩემსკენ მობოდა, წამით შეჩერდა კიდევ...

— მერე? — მოუთმენლობას ვიჩენდით.

— სათნო, უმანკო თვალებით მომაჩერდა... ხელები ამიკანკალდა, თოფი  
დავუშვი... გიშვებ-მეთქი, თვალებით ვანიშნე ანგელოს... იმ ახალგაზრდამ კი,  
ხედავთ, რა გააკეთა?!





# ზოცა ახიანი სოზია

მას შემდეგ, რაც არჩევანი გრიგოლ სურმაგაზე შეჩერდა, კრებაზე ერთმა სკეპტიკოსმა წამოიძახა: — გრიგოლი ძალიან კარგი კაცია, მაგრამ პროფესიით ისტორიკოსია, შეძლებს ამხელა საქმეს გაართვას თავი?!

დამსწრეებმა მას უმალ უპასუხეს, რომ გრიგოლ სურმაგა სოფელს ძალიან კარგად იცნობს, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს. ჭკვიანი ორგანიზატორი და გულიანობით აღამიანია, არც აგროტექნიკაში შეეშლება რამე და არც მექანიზაციაში, რაც შეეხება ისტორიას, მტკიცედ ცოდნას ჭერ არავისთვის შეუშლია ხელი!

კოლმეურნეებმა ერთხმად მისცეს ხმა ახალ თავმჯდომარეს.

მათი არჩევანი სწორი გამოდგა.

მეურნეობის ყველა დარგი რენტაბელური გაგზავლოთ, შრომის ანაზღაურება მოხდეს შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიხედვით — უკეთესი შე-

ფოტო ბ. ჯაჭელიძისა.

მთელი ჩვენი ხალხი, სოფლადაც და ქალაქადაც ერთი საზრუნავით არის გამსჭვალული — ღირსეულად შეასრულოს პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ჩვენი კორესპონდენტები ამჟერად გეგმეკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაოს ესტუმრენ. ეს სოფელი რაიონის ცენტრიდან ხუთიოდე კილომეტრითაა დაშორებული. გზა ხეივანითა და მწვანით დაბურულ ეზოებს მიუყვება. ხელმარცხნივ, მთის მწვერვალზე მარტვილის ძველი ტაძარი გადმომდგარა და მშვიდად გადაპყურებს თვალუწვდენელ მინდვრებზე გაჭიმულ საკოლმეურნეო ყანებსა და ჩაის პლანტაციებს.

ნაგვაზაო მდინარე ცხენისწყლის პირას მდებარეობს. ადრე აქ სამი, ეკონომიურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობა იყო, რომლებიც წლიდან წლამდე ვერ ასრულებდნენ გეგმებს. ამიტომ გლეხკაცს აქ გული არ უდგებოდა და გარე-გარე, უფრო სარფიან სამუშაოსაკენ ეპირა თვალს.

ასე დიდხანს აღარ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. შეიკრიბნენ კოლმეურნეები, იმსჯელეს, ყველაფერი გულდასმით აწონ-დაწონეს და სამი კოლმეურნეობის გამსხვილება-გაერთიანება გადაწყვიტეს. ახლა ის იყო საკითხავი, თუ ვინ უნდა აერჩიოთ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.



დეგისათვის უფრო მაღალი ანაზღაურება — აი ასე დაიწყო ახალმა თავმჯდომარემ თავისი საქმიანობა.

როცა კოლმეურნეებმა თავისი თვალთ დაინახეს, რომ თავმჯდომარე სოფლის კეთილდღეობისა და სახელმწიფოსათვის მიცემული პირობის შესრულებისათვის დღესა და ღამეს ასწორებდა — საიმედო ბურჯად ამოუდგინეს მხარში.

მონდომებამ, საქმის ცოდნამ და სიყვარულმა, მატერიალურმა და მორალურმა წახალისებამ, საკოლმეურნეო წარმოების სწორმა ორგანიზაციამ, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლამ მალე თავისი სასურველი ნაყოფი გამოიღო. ნაგავაზაოს კოლმეურნეობა განმტკიცდა, ლაღად გაიშალა მხარებში და ჩვენს რესპუბლიკაში ერთ-ერთ ძლიერ და ეკონომიურად შეძლებულ სასოფლო-სამეურნეო არტელად გადაიქცა.

მეცხრე ხუთწლედმა ახალი ამოცანები დასახა ნაგავაზაოელ კოლმეურნეთა წინაშე. მათ უნდა გამოავლინონ ახალი შესაძლებლობანი და რეზერვები ჩაის ფოთლის, ყურძნის, მეცხოველეობის პროდუქტების, მარცვლეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად გასადიდებლად.

ძველ, გამოცდილ კოლმეურნეებთან ერთად, ამ საქმეში უდიდესი როლი ენიჭებათ აქაურ ახალგაზრდებს. მათ თავდადებულ შრომაზე და მონდომებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. დ. ჭლარკვა და ე. სურმაგა შეჩაიებები არიან. ისინი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მოვიდნენ კოლმეურნეობაში. ახალგაზრდა მკრეფავებმა მალე გაიწაფეს ხელი და ახლა ყოველდღიურ გეგმებს ისინი 150-200 პროცენტით ასრულებენ (სურათი 1).

კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებს 127 ჰექტარი ფართობი უჭირავს, აქედან 100 ჰექტარი სრულმოსავლიანია. გასულ ხუთწლედში ნაგავაზაოელებმა სამშობლოს მისცეს 2500 ტონა ჩაის ნედლეული, ახალ ხუთწლედში კი მათ 4800 ტონა მწვანე ოქროს უნდა მოკრიფონ.

აი მეთე ბრიგადა, რომელსაც გიორგი კუბაბრია ხელმძღვანელობს, იგი ცნობილია მთელ რაიონში. ბრიგადის წევრები დროულად და აგროწესების ზუსტი დაცვით ატარებენ ყოველგვარ სამუშაოებს და ყოველწლიურად 50 ტონაზე მეტ ჩაის ფოთლს აბარებენ სახელმწიფოს (სურათი 2).

კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებში უკვე მეოთხე წელია მუშაობს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. შარშან ამ მანქანებით 150 ტონაზე მეტი ჩაის ფოთლი მოკრიფეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ძმებმა კონსტანტინე და მამია სურმაგაეებმა. კონსტანტინემ შარშან მარტო პრემიის სახით 5.500 მანეთი მიიღო. ამ თანხით მან მსუბუქი ავტომანქანა „უიგული“ შეიძინა (სურათი 3).

მეჩაიეების ხშირი სტუმრები არიან კოლმეურნეობის აგიტმხატვრული ბრიგადის წევრები, რომლებიც პლანტაციებში სახელდახელო კონცერტებს მართავენ (სურათი 4).

ჩაის ფოთლის კრეფის გაცხარებულ დღეებში პლანტაციებში ხშირად ნახავთ ვეგეტკოროს პარტიის რაიონული კომიტეტის პირველ მდივანს ნოდარ ჩხოლარას (მარჯვნივ) და აღმასკომის თავმჯდომარეს აკაკი სურმაგას (მარცხნივ), რომლებიც კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან გრიგოლ სურმაგასთან ერთად ამოწმებენ ნედლეულის ხარისხს (სურათი 5).



# თ.ჭყონია

ჩვენი საზოგადოებრი-  
ობა კარგად იცნობს სა-  
ქართველოს სსრ დამსა-  
ხურებელი მხატვრის თე-  
იმურაზ ჭყონიას ნაწარ-  
მოებს. პორტრეტი, ფი-  
გურული კომპოზიციები,  
მონუმენტური ქანდაკება,  
რელიეფური თუ მრგვალი  
პლასტიკის სახით, რომ-  
ლებიც თეიმურაზ ჭყონი-  
ას შეუქმნია, ნათლად მე-  
ტყველებს მოქანდაკის  
ფართო მხატვრულ ინტე-  
რესებზე.

თეიმურაზ ჭყონიას მი-  
ერ შექმნილი არაერთი  
ძეგლი აღმართულია ჩვე-  
ნი რესპუბლიკის სხვადა-  
სხვა კუთხეში, მათ შო-  
რის უნდა დავსახელოთ  
ბორის ძნელაძის ძეგლი  
ჭიათურაში, კრწანისის  
გმირთა მემორიალი თბი-  
ლისში და გრ. ორბელია-  
ნის ძეგლი კოჯორში.

ლ. მ ხ ე ი ძ ე,  
ხელოვნებთმცოდნეობის  
კანდიდატი

გრიგოლ ორბელიანის ძე-  
გლი კოჯორში.

ლომის წყარო  
კოჯორში





დღობა.



გამარჯება.

ქალი უვავილით.



წვარი.




შენ ხარ ვენახი.

# ირაკლი ოზიანური

ირაკლი ოზიანური ერთი პირველთაგანია საქართველოში, ვინც თამაშად მოჰკიდა ხელი ქართული ქედურობის — ხელოვნების ამ ძველთაძველი ღარვის განახლების საქმეს. მისმა ნამუშევრებმა განსაკურთხულნი აღიარება ჰპოვა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ღარგლებს გარეთაც. მისი ნაწარმოებების გამოფენა მოეწყო სანდინავიის ქვეყნებში, კანადაში, ინდოეთში, იაპონიაში, საფრანგეთში. მიმდინარე წლის აპრილში ირაკლი ოზიანური მექსიკაში გაემგზავრება, სადაც ეწეოდა მისი ქედური ნამუშევრების გამოფენა. საქართველოს დამსახურებულ მხატვარს ირაკლი ოზიანურს ქალაქ თბილისის ქორწინების სასახლისა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შენობაში ქედური პანოებისათვის, ქალაქ ოსაქაში ოქტომბერ-79- მსოფლიო გამოფენის საბჭოთა პავილიონის ქედური პანოებისათვის („მზის მოტაცება“ და „სიმღერა საქართველოზე“) საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ფურხალ „ღროშის“ რეაქტორის ულტრაცის ხელოვანს ასეთი დიდ აღიარებას და უსურვებს შემდგომ წარმატებებს



თეიმურაზ ჯუღანიძე.

ჯრჯანის ბრძოლაში დაკემულ გმირთა მემორიალის ფრაგმენტი.

# კახაპი ჭინწასული კასისა

გოგონა

ნანა კანელიანი

ცხრასორმოცდა ექვსი წლის ზაფხული იყო. ივნისის პირველ რიცხვებში ვარსაში ჩავდივით.

იქ, ზღვის პირას, ჩვენი ოფიცრების ბავშვები-სათვის, მშობლებთან რომ ჩამოვიდნენ საზაფხულო არდადეგებზე, ბულგარეთის მთავრობამ წმინდა კონსტანტინის მონასტრის შემოგარენი გამოჰყო, პიონერული ბანაკი მოაწყო.

ჩემი მეუღლეც და მეც იმ ბანაკში გავგვზავნენ სამუშაოდ.

მონასტრის მთელი შემოგარენი სავსებით მიტოვებული, მოუვლელი და გავერანებული იყო. ერთ კვირაზე მეტ ხანს დიდი და პატარა ბანაკის კეთილმოწყობას მოვუწინდით.

გავასუფთავეთ ზღვისკენ მიმავალი ბილიკები, გავთიბეთ ტყე-პარკში ბაღები, ადამიანს წელამდე რომ წვდებოდა, ბანაკის ტერიტორიის გასანათებლად ორმოცამდე ელექტრონის ბოძი დავაყენეთ. მოვაწყეთ სპორტული და გასართობი მოედნები; სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც ჩვენ უნდა ჩვესახლებულიყავით, და მთელი ბანაკის მოდამო ლამაზი წარწერებით, ფერადი გირლანდებით, ღროშებითა და ტრანსპარანტებით შევაშენეთ.

ბანაკში სულ სამი ბულგარელი მუშაობდა: მებადე, მორიგე კარისკაცი და სატვირთო მანქანის შოფერი.

ჩვენი შოფერი ყოფილი მეზღვაური იყო, ჯანმგარი, საშუალო სიმაღლის კაცი, ნაღვლიანი ლურჯი თვალებით და შავი ვარჯა თმებით. საოცრად კეთილი, ხელმარტვე და ბავშვების დიდი მოყვარული. რას არ გააკეთებდა ჟივკოს ხელი! ზოგს ფეხსაცმელს შეუკეთებდა, ზოგსაც ლერწმის ღეროდან კალათსა და ქოლგას დაუწნავდა. მაგრამ ყველაზე დასაფასებელი ამ კაცში მისი თავმდაბლობა და კეთილი გული იყო, რომელიც ვერ გასტეხა ომით მიყენებულმა თავზარმა და უბედურებამ.

ერთხელ, ჩემი მორიგეობის დროს, შევაშინე, რომ სასადილოში არ გამოცხადდა ბავშვების უმრავლესობა. მივხვდი მაშინვე, აღბათ, ჟივკოსთან იქნებთან რაღაც საქმით გართულები-მეთქი და უშაღვე მისი გართულებები გვემართე. მივდი და რას ვხედავ: დასველიანი ბავშვები პატარა ნავს და შიშკოსთან ერთად რაღაცას ჯახირობენ.

ჩემს დანახვავე ჟივკო დამნაშავესავით აიწურა.

— მოტორიანი ნავის გამართვა გვინდა, თუ რამე გამოგვივიდა... აბა მე სადაური ზეინკალი ვარ, შევაკონიწე პატარა მოტორი. ესენიც მებმარებიან, რაც შეუძლიათ, მაგრამ რა გამოვა, არავინ იცის.

— გამოვა, გამოვა, — ახმაურდნენ ბავშვები, — ჟივკოს ყველაფერს გაკეთება შეუძლია.

ჟივკოს გადღიმა, მხრებში შემოემუნა და თავი დააქნია.

— ამოთ ზგონიათ, ყოფილი შემძლე ვარ.

— დალილილები მერჩვენებით, ბავშვებო. აბა, ყველანი სასადილოში — ვუთხარი ჟივკოს გარშემო წიწილებივით გარსშემოხვეულ პატარებს.

სიტყვის გამოხატვა აღარც დამჭირდა. ყველა, როგორც ერთი, მაშინვე დაემორჩილა ჩემს განკარგულებას.\*

— თუ არა ვცდები, ქალაქი ჭერ არ დაგივალდირებიათ, ქალბატონო, — მორიდებით შენიშნა ჟივკომ.

— დიან, აქამდე ვერ მოვახერხებ...

— ხვალ დილით თუ ცვალიათ, საურსათის მოსატანად მივდივარ და წამობრძანდით თქვენ მეუღლესთან ერთად.

— თქვენ ისედაც არ გაკლიათ შემწუხებლობი, უბერხულია.

— აბა რას შემაწუხებთ, აქი გეუბნებით, მაინც უნდა წაიხიე ქალაქში, ვარსა, რა თქმა უნდა, არც



ბათუმით ლამაზი და არც ოდესას ზგავს, მაგრამ თავისი ეშხი მასაც აქვს... გეტყვით საიდუმლოდ: თქვენს გარდა ყველამ დაათვალიერა ვარსა.

— ზოდა, რაკი ასეა, ჩვენც წამოვალთ. მართლა, ბათუმი რომ ახსენით, ყოფილხართ იქ?

— რამდენჯერმე, ომამდე მე საეპრო გემზე ვმსახურობდი, ოდესასიც ვყოფილვარ, ფოთშიც, ბათუმშიც. ლამაზი ქალაქია. განსაკუთრებით მისი ბულგარი მომწონდა.

— თქვენ ვარსის მკვიდრი ხართ?

— არა, ზოფიის გარეუბანში ვცხოვრობდი, იქ დავიბადე და იქიდან წამიყვანეს ჭარში. ოჯახი მყავდა, ცოლი, სამი ბავშვი. გერმანელებმა უკან დახევისას დაბომბეს გარეუბნები და... ამომიბუგეს ოჯახი. ახლა აქ ვცხოვრობ, ჭარიდან რომ დავბრუნდი და ჩემი უბედურება გავიგე, აღარც გამიხედავს სოფლისკენ. დავრჩი აქ და ვემსახურები, ვისაც რამეში გამოვადგები. ცოტა სული მოვითქვა და იქნებ მერე ისევ გემს დავუბრუნდე... ერთი სიტყვით, აქეთ-იქით ვაწულები ამ ცხოვრებას და თვითონაც არ ვიცი, სად ვიპოვი ჩემს ნავსაყუდელს...

— მაპატიეთ, ბატონო ჟივკო, მაპატიეთ... ავაფორიაქეთ ჩემი შეკითხვით...

— რა გაქვთ საბოდიშო... ბოდიში მე უნდა მოვიხადო, დაგვალეთ ჩემი ქაქანი.

— არ ისადალებთ? — ვცადე საუბრის სხვა თემაზე გადასადა.

— არა, ახლა ვერ წამოვალ. — თქვა ჟივკომ, — ზღვის ნაპირზე ჩავალ, გავცურავ პატარას... ცხელა, იქნებ გავგრილდე...

\*\*\*

მეორე დილას ჟივკომ ვარსაში წავიყვანა მე და ჩემი მეუღლე.

ჩვენი ბანაკი ვარსიდან ოცდაათი კილომეტრით

იყო დაშორებული. გზის აქეთ-იქით სულ ხილის ბაღები და ვენახები იყო გაშენებული. ქალაქს რომ მივუახლოვდით, აგარაკებიც გამოჩნდა, მით მეტად რომანტიკული წარწერები ჰქონდათ: „ციხე-რი ღუნია“, „ოქროს გასაღები“, „სიყვარულის სავანე“, „ბედნიერების ქიშკარი“ და სხვა ამგვარები.

— მოაგარაკეთა მისაზიდად რა წარწერები არ მოუგონიათ, ამ დალოცვილებს... — ხითხითებდა ხმადაბლა ჟივკო. — ახლა უნდა ნახოთ, როგორი მოვლილი აქვთ კარ-მიდამო, ბოსტანი თუ ბაღი...

საუბარში გზა შეუმჩინვლად დაიღია.

— ო, აი ჩვენი ვარსა! — წამოიძახა ჟივკომ. — ახლა მიგიყვანთ ნავსადგურში... იქიდან ჯობია დაიწყოთ...

გემთსადგომის ბაქანამდე ისე ჩავიყვანა, ხმა აღარ ამოუღია. მანქანა რომ გააჩერა, უგუნებოდ გვიტხრა:

— მე ახლა წავალ, ათასი საქმე მაქვს მოსაგვარებელი. დაათვალიერეთ, რასაც მოასწრებთ, ოღონდაც თორმეტ საათისათვის ისევ აქ დახვდებით. პირველ საათზე ბანაკში უნდა იყყო.

— თორმეტი საათისათვის აქ დაგვდებით! ჟივკომ ხელი დაგვიქნია და უშაღვე გაუხვია მახლობელ ქუჩაზე.

— შენ იცი ამ კაცის თავდადასავალი? — მკითხა ქმარმა.

— ვიცი, თვითონ მაამბო.  
— თვითონ ვამბო?!  
— რატომ გავიკვირდა?  
— იმიტომ, რომ ჩვენმა მებადემ მითხრა, ჟივკოს თევზივით ღუმელი უყვარსო.

— კიდეც რა გითხრა მებადემ?  
— მაამბო, როგორ დარჩა იგი სულ მარტო. თვითონ მებადე უჩრევდა თურმე, სასმელს დაეძაღვე, ყველა დარდს დაგვიწყებო, მაგრამ ჟივკომ კატეგორიულად უარყო ეს რჩევა. მე ისედაც თითონ საჩვენებელი ვარ ჩემი უბედურებით, მით უფრო— უბედურებას სასაცილოდ ვერ ავაგდებინებ თავსაო.

— კაცური კაცი ყოფილია, ბარაქალაქი ბაქანი მივატოვეთ და ქალაქში გამოვიდით.

ის იყო მთავარ ქუჩაზე უნდა გავგეხვია, ვხედავთ, ფურწისთან ხალხია შეგროვილი, ვიღაც ახალგაზრდა ქალი გულსაქლავად გაჰყვის, ბერიკაცი მაღლა აშვრილი ხელებით მიიწევს მისკენ და ჩვენი ჟივკო მთავრით დგას მათ შუა, ხელში ატირებული პატარა გოგონა უჭირავს და ლამის არის ბერიკაცი ფვალტებით შექამოს.

— ჟივკო! რაშია საქმე? აქა ვარ, ნუ გეშინია! — ეს კი გავიგონე, როგორ გასძახა ჩემმა მეუღლემ და კიდეც გაქანდა მისკენ.

მეც მას ფეხდაფეხ მივდიე.

ჟივკომ ღონივრად ხელი ჰქრა ბერიკაცს, ახალგაზრდა ქალი წინ გაუშვა, მერე მიუბრუნდა ისევ მოსუცს და მუქარით დაუყვირა:

— აბა, თუ კაცი ხარ, თითი დააკარე! შენ შეგარცხვინა ღმერთმა. ცუმა რა საკადრისია, მით უფრო ქალის. შეილია შენი, ასე რამ გავაბოროტა, ბერიკაცი? შენს ჰალარას მაინც იცი პატივი, ზღვა ხალხი მოგჩერებია, შენ კი სალახანასავით იქცევი.

ბერიკაცმა ახლა ჟივკოსკენ გაიწია, მაგრამ ხელი არ გაუწმრევია, ქალს შეაგინა მხოლოდ და მერე დედაბერივით მიაწყევლა რამდენჯერმე.

— წადი, გაშორდი ამ უგულვოს, — უთხრა ჟივკომ ქალს, — წამოდი ჩვენთან, საშუალო ბევრია, შენი კუთხე გეტეხება, არც ლუქმა მოაკლდება შენს შვილს. ჯანით სავსე ქალი ხარ, რისა გეშინია? აბა,



ზაქარია შერაზადიშვილი

მზე  
მათს მწვერვალებს  
სანთლებად  
ანთებს  
და მე ეს შუქიც მყოფნის იმედად...

ხეუბნის ორ-ორი



ჰუბნი

ჰუბნი

არცა შუბები,  
არცა მორლონი,  
ზურგზე გაიწყვეს  
ხმლები ორ-ორი.

ფარიკაობა  
ხლართეს  
ჯიხვებმა...  
რა მერე,  
თუ დიეს გული უსკდება,  
რომ უფსკრულისკენ  
ერთი  
იხრება?!

არცა შუბებით,  
არცა მორლონით,  
ორ-ორი ხმლით და...  
ხმლებით ორ-ორით!..

მთათა,  
მწვერვალთა,  
მთათა, მწვერვალთა,  
მომწყურდა ვბრძანო სიტყვა დიდების,  
მეშვიდე ცამდე ასაწევართა,  
თვალშეუდგამი  
პირამიდების.

თვის ძედ შემრაცხებს  
მთებმა,  
მინდვრებმა,  
მშვეს მადიდებლად  
კაცი  
ონელი,  
ვინც მთები ვცანი პირამიდებად  
და არა ვცანი ფარაონები.

ონის ზიდიდან ჭავჭავტერი ამ მთებს,  
გაჩენილთ ნამდვილ პირამიდებად.

ციხის ბურჯზე, ცას რომ ერწყმის,  
სახლობს ვაზი —  
მზის ქმნილება,  
სათოფედან თვალი ლერწის,  
ნეტა,  
საით  
იციირება?!  
იქნებ,  
რამე შველას ითხოვს  
ერთადერთი მეციხოვნე?!  
ხშირად უნდა მოვაკითხო,  
ყარულში  
შევცვლი  
ხოლმე!..

მივიწყებულ  
ციხის ბურჯში  
სახლობს ვაზი — მზის ქმნილება,  
სათოფედან  
ლერწი ლურჯი  
ნეტა საით იციირება?!

ზაქარია შერაზადიშვილს დაბადებიდან 50 წელი შეუსრულდა.  
პოეტმა საინტერესო შემოქმედებითი გზა გაიარა, მან არაერთი მშვენიერი  
ნაწარმოებით გაამდიდრა თანამედროვე ქართული პოეზია. მისი წიგნები —  
„სამშობლოს გზებზე“, „ქვათა კოდვა“, „ხემსი“, „პოიდა, ლიხვო“, „ჩანჩქერე-  
ბი“, „ფეხადგმული აკვნები“ გულით შეიყვარა ჩვენმა მკითხველმა. პოეტი  
ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურის სფეროშიც.  
ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, ზაქარია შერაზადიშვილი წლების  
მანძილზე ეწევა პედაგოგიურ და მეცნიერულ მუშაობას, მან დიდი ამაგი დას-  
ლო მოზარდი თაობის აღზრდის საქმეს.  
„დროშის“ რედაქცია ულოცავს თავის თანამშრომელს — თელსაჩინო პო-  
ეტს ზაქარია შერაზადიშვილს დაბადების დღეს და უსურვებს ღრეგრძელობას  
და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

ამის ჭაჭანს როდემდე უნდა უგდო ყური? ეს  
ისეთი უწმინდური ჩანს, ერთ მშვენიერ დღეს აღგე-  
ბა და ამ შენს პატარას ერთ ტომარა ფქვილში გაც-  
ვლის.  
— ოღონდაც მომავალ და უფასოდ გყავდეს  
ორივე. — წამოიძახა ბერიკაცმა. — მაგის უსაქცი-  
ელობამ მომიღო ხოლო!  
— ჩუ, ბებერო, გრცხვენოდეს, გაგონილა შვი-  
ლის ასე შერცხვენა? — გამოქომაგა ახალგაზრდა  
ქალს ვილაც მანდილოსანი. — არ დაუჭეროთ, ბა-  
ტონო, რენკას უზნობა კაცს არ გაუჭია.  
— მამ ეს ბავშვი როგორ გაჩნდა? ან იქნებ წმინ-  
და მარიაშია ეს ჩემი შვილი? გამაგებინეთ, გამარ-  
კვიეთ? — წამოიძახა ბერიკაცმა.  
— მთელმა უბანმა იცის, უყვარდათ უბედურებს  
ერთმანეთი, მაგრამ ომში დაიღუპა ის საბრალლო,  
შოდა... შებრალებსია და თანაგრძნობის ღირსია სა-  
ცოდავო გოგო. ეს კი აი, ჭხუ სტრის საქვეყნოდ  
თავს.  
— ფუი, შენ კაცობასი — იფთქა შივკომ, —  
მოსაკლავი ხარ, შე ბებერო ძაღლო. აქედან გამ-  
შორდი, თორემ აქვე გაგათავებ, გესმის?  
ბერიკაცმაც არ დაუთმო, ისევე გაიწია შივკოსკენ,  
მაგრამ რამდენიმე კაცი გადაეღობა.  
— წაიყვანე, წაიყვანე, არსად დაგეპარგოსი —  
იყვირა ციცხლივით ანთებულმა მოხუცმა და ისევე  
მოურიდებლად შეაგინა შვილს.

— იცოდე, თვალთ აღარ დამენახვო, რენკა, მაგ  
შენი ნაბიჭვართი, თორემ თუნდაც საციხედ გამიხ-  
დეს თავი, ორივეს დაგხოცავთ!  
რენკა ისევე ატირდა, თავში შემოიკრა ორივე ხე-  
ლი, ქუჩის მორე მხარეს გაიქცა და შერცხვენილი,  
შივკოს სატვირთო მანქანას ამოეფარა.  
— ოხ, მე შენი... — ერთი კი წამოიყვირა შივ-  
კომ, გოგონა მე მომიგდო ხელეში და მოთმინება-  
დაკარგული სწვდა ბერიკაცს ყელში.  
ქალებმა კივილი მორთეს, ჩემმა მეუღლემ ძლივს  
მოაცილა შივკო ბერიკაცს, მაგრამ უტეხი მოხუცი  
არც თუ ისე მზიარა გამოდგა; როგორც კი სული  
მოითქვა, მაინც მიადახა შივკოს გესლიანად:  
— სიძე-კაცო, მისამართი მაინც დაგვიტოვე, სად  
მოგაკითხოთ ნათესავებმა...  
— გაბედავთ და ფეხს მოადგამთ, კიდევაც წა-  
ვაცილი ვილაცას წიწილასავით თავსა! — არ დაიხია  
შივკომაც.  
— იმ, იქნებ სულაც შენია ეს ბაღლი, ჩვენ კი  
ცოდავს სხვას ვაწერთ, მამ? — ისევე წამოიძახა ბე-  
რიკაცმა.  
— კარგი ახლა, კმარა, მოხუცო, მოისვენე. —  
შეუტეხს აქეთ-იქიდან ქალებმა.  
შივკომ ქუდი შეისწორა, უღვაშებზე მედიურად  
გადაისვა ხელი და თავმომწონედ მიახალა ბერი-  
კაცს:

— დიხაც, ჩემია, არც ახლა მოისვენებ, შე ქო-  
ფაკო! — გოგონას ორივე ლოყა დაუკოცა და დი-  
დი ნაბიჭვით მანქანისკენ გაემართა.  
მანქანაში რომ ჩავჭექით და კარგა მანძილიც რომ  
გავიარეთ, მორიდებით ვკითხე:  
— მართლა შინ მიგყავთ ეს დედა-შვილი?  
— აბა, მამ იმას ხომ არ დაუტოვებდი მოსაკლავ-  
ვად. ჩემს ოთახს დავუთმობ, მე ამ მანქანაშიც კარ-  
გად დავიძინებ. საქმელი არ მოაკლდებათ. ხანამ ბა-  
ნაკი იქნება, რენკაც იმუშავებს...  
— კი, მაგრამ მერე? მერე რა ეშველებათ?  
— მერე? — შივკო ჩაფიქრდა, ერთბაშად გოგო-  
ნას თავზე გადაუსვა ხელი და სიყვარულით ჰკითხა:  
რა გქვია, ჩემო პატარა?  
— ელანა... — ჩაიღულღულა გოგონამ, ბავშვური  
გულუბრყვილობით მორცხვად გაუღიმა, შივკოს  
ხალათს ჩაებლაუჭა თავისი გამხდარი თითებით და  
ერთბაშად თავი ჩაღუნა.  
შივკოს თვლებში ბედნიერების ნაპერწკალმა გა-  
უღიმა, სახე კმაყოფილებით გაებადრა, გოგონა სი-  
ყვარულით მიიკრა მკერდზე და გატაცებით თქვა:  
— მერე ავაშენებ პატარა ქოხს და კარის თავზე  
ვეთბერთელა წარწერას ჩამოვკიდებ: „ელანას ქო-  
ხი“. რას იტყვი, როგორი წარწერა მოვიგონე?  
— შესანიშნავი, ბატონო შივკო, შესანიშნავი! —  
გულწრფელად გავიზიარე კაცური კაცის ადამიან-  
ური სიხარული.

# თავისუფალი პრესის დღეები

## აღმსახურებელი თაყაიშვილი



როდესაც ქართული საბავშვო თეატრზე საუბარი ჩამოვარდნა, მაშინვე თვალწინ დაგიდგება რეჟისორი ალექსანდრე თაყაიშვილი — შუა ტანის, ოდნავ მხრებში მოხრილი, მაგრამ იშვიათად მოძრავი და ენერგიული, ხალისიანი და საინტერესოდ მოსაუბრე ადამიანი.

და მართლაც, ქართული მოზარდ მსახიობთა თეატრი და ალექსანდრე თაყაიშვილის სახელი განუყრელია ერთმანეთისაგან.

ალექსანდრე თაყაიშვილი უფრო ადრე დაიწყო მოღვაწეობა, ვიდრე ეს თეატრის შეიქმნებოდა, შემდეგ ბევრი რამ გააკეთა ამ თეატრის გარეშე, მნიშვნელოვანი კვალი გაავლო გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის ცხოვრებაში, კ. მარჯანიშვილის თეატრში მის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებული ნ. გოგოლის „რევოლუცია“ ამ თეატრის ოქროს ფონდში შევიდა, არაერთი საინტერესო სახე შექმნა კინოში... მაგრამ მაინც მისი სახელი ქართული მოზარდ მსახიობთა თეატრის უკავშირდება. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე თაყაიშვილი ამ თეატრის მამაა, მან ჩაუყარა საფუძველი, მან შექმნა იგი იმად, რაც ახლაა. თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე სათავეში ედგა მას და გატაცებით, თავდადებით შრომობდა. ხუმრობა როდი იყო, თითქმის ცარიელ ადგილზე სრულიად უტრადიციო საქმის წამოწყება.

ალ. თაყაიშვილი დიდად განათლებული, მაღალი კულტურის, ფართო ერუდიციისა და დახვეწილი გემოვნების, მუდამ შთაბრძნელი და საქმით უსასაღვროდ გატაცებული ხელოვანი იყო.

საბავშვო ხელოვნებაზე ალ. თაყაიშვილს ადრე შეიძლება სულ არ უფიქრია, მაგრამ სათავეში ჩაუდგა თუ არა მოზარდთა თეატრს, მთელი არსებით ისე შეიყვარა ეს ახალი „პროფესია“, რომ იფიქრებდით, ამისათვის ყოფილა დაბადებული, ეს ყოფილა მისი შინაგანი მოწოდება.

ალ. თაყაიშვილის წინაშე თავიდანვე მრავალი თავსატეხი პრობლემა წამოიჭრა. პირველ რიგში ის აწუხებდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საბავშვო თეატრი, საბავშვო თეატრის მსახიობი, საბავშვო სპექტაკლი. ყველა ნათლად როდი ხედავდა და ყველა როდი ერკვეოდა ამ თეატრის სპეციფიკაში. ბევრი ფიქრობდა მაშინ, და დღესაც ფიქრობს, რომ ეს

ჩვეულებრივი თეატრია, სადაც ყველა რეჟისორს შეუძლია დადგას სპექტაკლი და ყველა მსახიობს შეუძლია ითამაშოს ისევე, როგორც ყველა დანარჩენ თეატრში განუჩივლად. ალ. თაყაიშვილს თავიდანვე კარგად ესმოდა, რომ ეს ასე არ არის. საბავშვო თეატრს მან შეხედა როგორც სკოლის გარეშე აღზრდის უმნიშვნელოვანეს, მხატვრულ კერას, რომელიც ნორჩ მსახიობებს კლასში მიღებულ ცოდნასაც უნდა განუმტკიცებდეს და ახალსაც უნდა აძლევდეს რამეს — მის სრულყოფილ აღზრდას ხელს უნდა უწყობდეს.

ეს მეტად რთული ამოცანაა. იგი თეატრის სპეციფიკის სიღრმეში ძვეს და იოლად შესაძინებელი არ არის. ასეთი თეატრი უნდა ემყარებოდეს და იყენებდეს, პირველ რიგში, პედაგოგიისა და ფსიქოლოგიის მიღწევებს. ამ თეატრის რეჟისორმა უნდა იცოდეს ის, რის ცოდნაც ყველა რეჟისორისათვის აუცილებელი და სავალდებულოა და ცოტა მეტიც. მან კარგად უნდა იცოდეს ბავშვი, მისი აღზრდის მეცნიერება, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ამ თეატრის მსახიობებთან ფსიქოლოგია და აღქმის უნარი ერთგვაროვანი არ არის. ვინც ანგარიშს არ გაუწევს მსახიობების ამ თავისებურებას — ბავშვის ასაკობრივ განსხვავებას და აქედან გამომდინარე განსხვავებულ მოთხოვნილებას, ის შემოქმედებით მარცხს თავიდან ვერ აიცილენ და მოზარდის აღზრდასაც ზიანს მიყენებს. ამიტომ თაყაიშვილს სრულყოფილად არ მიაჩნდა ერთი ცნობილი რეჟისორის გავრცელებული ხატოვანი გამოთქმა — ბავშვისათვის ისევე უნდა ითამაშო, როგორც დიდებისათვის და უფრო უკეთესად. სიტყვა უკეთესი კონკრეტულად არაფერს ამბობს და არც თეატრის სპეციფიკის არსებით მხარეს მიანიშნებს. თაყაიშვილი დამოუკიდებლად ეძებდა საბავშვო თეატრის განვითარების გზებს, მისი მხატვრული წარმოსახვის ხერხებსა და საშუალებებს. იურიდიული განათლებით აღჭურვილი ახალგაზრდა რეჟისორი კარგად იცნობდა ადამიანის ფსიქოლოგიას, მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდა, ბავშვის ფსიქოლოგიისა და პედაგოგიის მიღწევებში შეისწავლა, შეისწავლა იმდენად ღრმად და საფუძვლიანად, რომ თეატრის ირგვლივ შემოკრებილ გამოჩენილ პედაგოგებთან და ფსიქოლოგებთან თავისუფლად კამათობდა და ხშირად სამართლიანადაც ედავებოდა მათ.

მასსოვს ერთი ასეთი შემთხვევა: პედაგოგებმა მოითხოვეს, რომ წარმოდგენის დაწყებამდე რამბის წინ ვინმე გამოსულიყო და ბავშვებისათვის წინასწარ გაეცნო პიესის შინაარსი, რათა კარგად აღეკვეთილნენ, რაც სცენაზე ხდებოდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ეს ღარიბი და დისციპლინასაც განაპირობებდა. თაყაიშვილმა კატეგორიულად უარყო ეს მოსაზრება წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისითაც. იგი ამტკიცებდა, რომ თუ ბავშვებს პიესის შინაარსს წინასწარ გავაცნობთ, წარმოდგენისათვის ინტერესი გაუნადგურებთ და დარბაზშიც მეტი ხმაური იქნება. მაგრამ თუ მაინცდამაინც გსურთ, რომ პედაგოგი რამბის წინ გამოვიდეს და წარმოდგენის დაწყებამდე ესაუბროს ბავშვებს, ეს საუბარი ძალიან მოკლე უნდა იყოს და მხოლოდ თეატრში ბავშვების ყოფაცხევასა და თავდაქცევას უნდა შეეხებოდეს. პედაგოგები თავიანთ აზრს დაუინებოთ იცავდნენ. რეჟისორი დაჰყვა მათ ნებას, მხოლოდ იმ პირობით, რომ რამდენიმე სპექტაკლს დაეკრებოდნენ და შემდეგ ამ საკითხზე კვლავ ემსჯელათ. სულ მალე აშკარა გახდა, რომ რეჟისორი მართალი იყო.

ალ. თაყაიშვილი ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რეპერტუარის ბავშვთა ასაკობრივი პრინციპით აგებას. ამას მოზარდთა თეატრის მთავარ პედაგოგიურ მეთოდს მთავრად თვლიდა და მისი უგულვებელყოფა დაუშვებლად მიაჩნდა.

— თუ თქვენ მცირე ასაკის ბავშვებს უფროსთათვის განკუთვნილ სპექტაკლს უჩვენებთ, ამით დროს უსარგებლოდ წაართმევთ, მათ სულსა და გულს ვერაფერს მისცემთ. მაგრამ თუ პირიქით მოიქცევით, — უფროსი ასაკის ბავშვებს უმცროსთათვის განკუთვნილ სპექტაკლს უჩვენებთ, ამით მათ გულს აუცრუებთ და თანდათან საბავშვო თეატრს შეაჭარბებთ. ბავშვის საული ფაქტია და მას სათუთი მიდგომა ესაბიროება, — უთქვამს ხშირად.

თაყაიშვილი უფრო შორსაც მიდიოდა. მას აუცილებლად მიაჩნდა, რომ ასაკობრივი თვალსაზრისით შერჩეულიყო არა მხოლოდ რეპერტუარის თემატიკა, არამედ სცენური წარმოსახვის ხერხებიც, რადგან ის, რაც მხატვრული პირობითობის თვალსაზრისით ერთი ასაკისათვის მისაღებია, მეორისათვის გაუმართლებელია. იგი სამართლიანად ამტკიცებდა, რომ პატარა ბავშვს ყველაფერი მხატვრულად, მაგრამ უფრო ნამდვილის მსგავსად უნდა ვუჩვენოთ, რადგან პირობითობა მისთვის მიუწვდომელია, პირობითი ნიშნების ცანაოვანება და მათში ნამდვილის ამოცნობა უძნელდება, ხელოვნების ნიმუშს უშუალოდ აღიქვამს, მასში იმას ხედავს და იმდაგვარად, რასაც და როგორცაა აჩვენებთ. მოზარდულ ბავშვებში რეჟისორი საპირისპირო შესაძლებლობას ხედავდა. იგი პედაგოგიის მიღწევებზე დაყრდნობით დამატებდა ამტკიცებას, რომ მოზარდულ ბავშვს შეუძლია სახეობით აზროვნება ლოგიკურს დაუკავშიროს, პირობითი გაანალიზოს და მის მიღმა ნამდვილი, რეალური საგნები და მოვლენები წარმოიდგინოს.

ამ ორი საპირისპირო გარემოების არსებობა საბავშვო თეატრში სერიოზულ სიძნელეებს ქმნის. თუ მეორე შემთხვევაში რეჟისორს შეუძლია თავისუფლად გაშალოს ფრთები მხატვრული ფანტაზიის სფეროში, პირველ შემთხვევაში თითქმის ბავშვამდე უნდა „დავიდეს“ და ყველაფერი „ხელშე-სახებლად“ გადმოსცეს, რათა ბავშვმა ნამდვილი ნათლად წარმოიდგინოს და დაიჭროს, მოქმედება მთლიანად აღიქვას და საგნებისა და მოვლენების მთლიან ემოციურ გავლენაში მოექცეს. ეს გარემოება რეჟისორს შედეგად რთულ ამოცანებს უყენებს, მისგან პროფესიულ ცოდნასთან ერთად მხატვრულისა და რეალურის შერწყმის ოსტატობასაც მოითხოვს. ალ. თაყაიშვილი ორივე მადლით იყო დაჯილდოებული. მას კარგად ესმოდა, რომ მხატვრულ საშუალებათა ძიებისას ხელოვანმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის აღქმის შესაძლებლობანი, თუ სურს, რომ მისმა ქმნილებამ ხელი შეუწყოს ბავშვის სრულყოფილ აღზრდას, მის მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას. საბავშვო სპექტაკლი, იტყვოდა ხოლმე ხშირად, მხატვრულად სრულყოფილი, მაგრამ მკაფიო აღმზრდელითი იღვით გამსჭვალული უნდა იყოს. იგი წინააღმდეგი იყო მშრალი დიდაქტიური ხერხებისა, სცენური ნაწარმოების იდეა მხატვრულ საშუალებებისაგან მოწყვეტილად ვერ წარმოედგინა, ერთნაირად სძულდა როგორც კონკრეტულ მიზანდასახულებას მოკლებული პიესა, ისე სცენური წარმოსახვის საშუალებათა ეკლექტიკაში, შინაარსისა და ფორმის ურთიერთშეუსაბამობა. ალ. თაყაიშვილის ყოველი საუკეთესო დადგმა გზობლავეთა აზრის სიცხადითა და მხატვრული სრულყოფით, სიხასებით, მთლიანად სპექტაკლში და მის ცალკეულ



სცენებში ჩაქსოვილი იდების გამოვლენის კონკრეტული ფორმებით. ეს ფორმები იყო ზედმეტობას მოკლებული, ფაქიზი, ზედმეწევი მტყუელი, ნათელი, ნორჩი მყურებლისათვის ადვილად გასაგები, მაგრამ ამბავიერი და არა გაუმართლებელი. გაუმართლებელი მტერია როგორც საბავშვო ხელოვნებისა, ისე ბავშვის აღზრდის იდეისა. გაუმართლებელი „ხელოვნება“ ამხინჯებს ბავშვის სულს, ხელს. უშლის მისი გემოვნების გაფაქიზებას, ამბავიერებს, ე. ი. ბავშვის ესთეტიკურ აღზრდას.

აღ. თაყაიშვილი საბავშვო თეატრში განსაკუთრებულ როლს მსახიობს ანიჭებდა. მასზე უკეთესად არავის ესმოდა ამ თეატრის მსახიობის შემოქმედებითი თავისებურება და მისი აღზრდის სირთულე. ნუ დაგვიწყდება, რომ ეს საქმე უტრადიციო იყო. ჩვეულებრივ თეატრში გამოშვებული ხერხები, მიდგომა აქ არ გამოდგებოდა. იგი არა მარტო დაკვირვებით არჩევდა შესაფერ კადრებს, არამედ გატაცებით მუშაობდა მათ აღზრდაზე, საბავშვო თეატრის განსაკუთრებულ პირობებთან მათს შეგუებაზე. საქმეს სწორედ ის ართულდა, რომ ამ ტიპის მსახიობი არა გვყავდა. საბავშვო თეატრის მსახიობის თავისებურებას ჩვეულებრივად კომიკური, სახასიათო, დრამატული თუ ჰეროიკული ამბავი როლი განსაზღვრავდა. უნარულ თავისებურებასთან ერთად პირველ რიგში სპეციფიკური თავისებურება იყო გასათვალისწინებელი. და წარმოადგინებდა რა პედაგოგიური ალღო უნდა გამოეჩინა და რა როლი გვირუკით უნდა გაეწია, რომ აღამიანი, რომელიც შემოქმედებითი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩვეულებრივ თეატრში ჰქონდა გატარებული, საბავშვო მსახიობად ექცია, მარმონიულად ჩაერთო ამ სპეციფიკური თეატრის ანსამბლში.

საბავშვო სპექტაკლში მხატვრობას, მუსიკას, სანახაობის მხარეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ მსახიობი მანაც განსაკუთრებულ ფუნქციონირებას იკავებდა. უმსახიობოდ, — ამბობდა იგი, — ბავშვი სცენურ მოქმედებას სრულყოფილად ვერ აღიქვამს. მხატვრობა და მუსიკა ცალ-ცალკე და ერთად, მსახიობისაგან დამოუკიდებლად ბავშვზე ემოციურ ზემოქმედებას ვერ მოახდენენ, ემოციური ზემოქმედების გარეშე კი აღზრდელი მათი ზემოქმედება მიუღწევადია. მსახიობთან მუშაობას დიდ დროს უთმობდა, და მისი ეს მუშაობა უაღრესად შემოქმედებითი იყო. მსახიობთან მუშაობას პიესის პირველი კითხვისთანავე იწყებდა. წინასწარ უკვე გათვალისწინებული ჰქონდა როგორ უნდა გაეაწილებინა როლები, მაგრამ ამ თავის ალღოს პიესის კითხვის დროსაც ამოწმებდა. პიესის კითხვას რომ მორჩებოდა, კლექტივს გადახედავდა, აკვირდებოდა, ვისზე როგორი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორი იყო საერთო განწყობილება. შემდეგ პიესის საერთო დახასიათებას დაიწყებდა, განიხილავდა შინაარსს, იდეურ მხარეს, ხასიათების ლიტერატურულ დახასიათებას რომ მორჩებოდა, მათს ფსიქოლოგიურ ანალიზს შეუდგებოდა. ყოველივე ამის შემდეგ კლექტივს ტემპერამენტით, ახალელებლად მოუყვებოდა მომავალ სპექტაკლზე, ლაპარაკობდა პოეტური შთაგონებით — გეგმავდა სპექტაკლის წინ დეკორაჟს და არჩევსო. გულგრილად განწყობილ მსახიობებსაც კი (ასეთები კი თეატრში ყოველთვის არიან) გაიტაცებდა, დაინტერესებდა, იმედს აღუჭრავდა, რაღაც უჩვეულო ახლის მოლოდინით განაწყობდა. ამის შემდეგ მისი მუშაობა ხალისიანი იყო და საინტერესოც.

მსახიობებთან მუშაობას ერთ წუთს არ სწყვეტდა. რეპეტიციების დროს, ცალკეულ მსახიობთან მუშაობისას, ხასიათების ფსიქოლოგიურ ანალიზსა და დახასიათებას აკრძალვდა, აკრძალვდა მანამდე, ვიდრე თითოეული მსახიობი დრამად არ ჩასწვდებოდა როლის ბუნებას, თავისად არ აქცევდა მას. იგი მოითხოვდა, რომ მსახიობს როლი მთლიანად შეცნობილი ჰქონოდა და შემოქმედებითად განეცადა.

— მსახიობს უნდა შეეძლოს ხასიათის შეფასება, მაშინ იგი უფრო მკაფიოდ დაინახავს და სრულყოფილად წარმოსახავსო, — ამბობდა და არასოდეს

არ ცდილობდა მსახიობისათვის ეჩვენებინა, თუ როგორ უნდა ეთამაშა, რათა მას გაემეორებია, წაეხად. ასეთი მეთოდი მსახიობს შემოქმედებიდან მაინუნდა ხდისო, — იტყოდა ხოლმე გულმოსული, თითქოს ვიღაცა ცდილობდა.

აღ. თაყაიშვილის მსახიობთან მუშაობის მთელი აზრი, მთელი პათოსი იქითკენ იყო მიმართული, რომ მსახიობში საკუთარის ძიების უნარი, ფანტაზია გაეღვიძებია. მისი რეპეტიციები შინაარსით აღსავსე და წარმატებული იყო.

მსახიობს, ისევე როგორც ყველა სხვა ხელოვანს, ცხოვრების შთაბეჭდილებათა დიდი მარაგი უნდა გააჩნდეს. ეს მარაგი უნდა შეიმუშაოს როგორც ცხოვრების მოვლენებზე და იმ ადამიანთა ხასიათებზე, ქცევაზე უშუალო დაკვირვებით, რომლებიც ირგვლივ არტყია, ისე ლიტერატურულიდან. თუ დრამატურგისათვის ლიტერატურული შთაბეჭდილებებით სარგებლობა სახიფათოა, მსახიობისათვის პირიქით — სასარგებლო და ცხოვრებისეულია. სამაგუროდ მისთვის სახიფათოა თეატრალური შთაბეჭდილებებით უშუალო სარგებლობა.

— შემოქმედებით დამოუკიდებლობას ის აღწევს. ვინც ბევრი იცისო, — ეუბნებოდა თავის ახალგაზრდა კოლეგებს და ურჩევდა მათ ბევრი გეითხათ ლიტერატურა, ენახათ ყველა თეატრის წარმოდგენა, მოეხმანათ მუსიკის შედეგები, გასცნობოდნენ სახვითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს...

აღ. თაყაიშვილი მსახიობთან ბევრს მუშაობდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ესა თუ ის როლი სრულყოფილად დაემუშავებინა, არამედ იმიტომაც, რომ თვითონ მსახიობი მთლიანად ამოეცნო, მისი შინაგანი შესაძლებლობა გაეგო და ამის მიხედვით მისი აქტიური ინდივიდუალობა ჩამოეყალიბებინა, განემტკიცებინა. თუ რომელიმე მსახიობი თავისი ტალანტის სრულ გამოვლინებას მიაღწევდა და ნორჩი მყურებლის სიყვარულს დაიმსახურებდა, — ეს, პირველ რიგში, აღ. თაყაიშვილის იშვიათ რეჟისორულ და პედაგოგიურ უნარს მიეწერებოდა.

აღ. თაყაიშვილს არ სწამდა პედაგოგიურ უნარს მოკლებული რეჟისორი. რეპეტიციებზე მუშაობის მთელი პროცესი მას ერთ მთლიან სასწავლო პროცესად მიიჩნდა, მაგრამ, რასაკვირველია, არა სკოლური აღზრდის პროცესად, სადაც ერთმანეთს მოსწავლე და მასწავლებელი ხვდება, არამედ მხატვრული აღზრდის პროცესად, სადაც ხელოვანი ხელოვანს ხვდება და მათ შორის შემოქმედებითი ურთიერთობა მყარდება.

აღ. თაყაიშვილი მაღალი კულტურის პირველხარისხოვან თეატრს ვერ შექმნიდა, რომ ამ თეატრისათვის შესაფერისი მსახიობის ტიპის აღზრდა ვერ მოეხერხებინა. ამ შემთხვევაში იგი თავისუფლად შეიმღებდა შევადართო ქართული თეატრის რეჟისორ-მეტრის კოტე მარჯანიშვილის. მარჯანიშვილმა ქართული საბჭოთა თეატრის შექმნა არსებითად ცარიელ ადგილზე დაიწყო. ყველას ანციფერებდა მისი გამბედაობა, ასეთი ოპტიმისტური შემართება, ობიექტურ პირობებს, კერძოდ, მსახიობებს ვერ ხედავდნენ და უმსახიობოდ ახალი თეატრალური მოძრაობის დასაწყისი, რბილად რომ ვთქვათ, განწირულად მიჩნდა. თვითონ კოტე კი ყველაფერს ნათლად წარმოადგენდა და, როგორც ცხოვრებამ ვინჩენა, დიდ მომავალს შეუცდომლად სჭვრეტდა. მან პირდაპირ მთავარი — მსახიობის აღმოჩენითა და აღზრდით დაიწყო. თითოეული მისი სპექტაკლი ამ მხრივ ნამდვილი სასწაული იყო, აღმოჩენას აღმოჩენა მოხდებოდა, განცვიფრებას — განცვიფრება..

ვისაც ქართული მოზარდ მყურებელითა თეატრის პირველი დღეები ახსოვდა, წერით აღნიშნული ვითარებებიდან ბევრი რამ ენიშნებოდა. ამ ორ მოვლენას შორის ჩვენ იგივეობის ნიშანს არა ვხვდებით. მაგრამ ხომ ცხადია, რომ მოზარდ მყურებელითა თეატრიც სრულიად ცარიელ ადგილზე, უტრადიციოდ შეიქმნა. აღ. თაყაიშვილს მოუხდა სწორედ შესაფერისი მსახიობების აღმოჩენაც და მათი აღზრდაც მახსოვს, პირველ დღეებში როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა გოგუცა კუმარაშვილისა და ოპერის თეატრალური მსახიობის შესახებ: — სხვა რომ არავინ მყავ-

დეს, მარტო ეს ორი მსახიობიც კი საქმარისა საბავშვო თეატრმა თავისი სახე რომ შექმნას, მაგრამ აბა გადახედეთ მთელ დასს, რამდენი ნიჭიერი ახალგაზრდა გვყავსო.

ზოგი პირველად მოსულიყო თეატრში და აქ იდგამდა ფეხს, ზოგსაც ერთგვარი გზა გაეწეო პოეზიულ თუ სცენისმოყვარეთა სცენაზე. და აი ამ სიჭრელიდან ერთ ენაზე მოლაპარაკე ანსამბლი უნდა შექმნილიყო, ანსამბლი, რომელსაც სხვა კლექტივებისაგან განსხვავებული და სრულიად ახალი ამოცანა უნდა გადაეწყვიტა. ზოგი თუ პროფესიონალი უნდა დაოსტატებულიყო, ზოგსაც ძველი მტკერი უნდა დაებურტყა და ახალი შემოქმედებითი პრინციპები შეეთვისებინა, საბავშვო თეატრის სპეციფიკას შეეთვისებოდა. ენა ადვილად იტყვის, მაგრამ ხელმძღვანელობის წინაშე მტკად ძნელად გადასატყრელი ამოცანა იდგა. და თუ ეს რთული ამოცანა მაშინ შედარებით იოლად გადაიჭრა — ეს ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორის უნარსა და ენერჯის უნდა მივაწეროთ. მის ხელში გაუნდებელი შემოქმედებითი ცეცხლი გიგანებად და ამ ცეცხლის სითბო გადაეცემოდა სპექტაკლს, საერთოდ. და პირველ რიგში მსახიობს. თაყაიშვილს თანდაყოლილი, გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი შინაგანი მომზიბველობა ჰქონდა, ეს მომზიბველობა იწიდავდა და მისადმი სიყვარულით განაწყობდა ახალგაზრდა მსახიობებსაც და უფროს კოლეგებსაც.

აღ. თაყაიშვილი, მახვილი ალღოს წყალობით, სწრაფად ერკვეოდა ნაწარმოების ქვეტექსტში და ყოველთვის წარმატებით პოულობდა სპექტაკლის ზუსტ ფორმასა და გადაწყვეტას. ეს უაღრესად თანამედროვე, სოციალისტური რეალიზმის ხელოვანი, რომანტიკული ბუნების ადამიანი იყო და მისი პოეტური ფანტაზია ფერებს, სიმდიდრით გამოირჩეოდა. მოხიბლული იყავით მისი ფართო რეჟისორული დიპლომატი, აკვირვებდათ, სრულიად სხვადასხვა ხასიათის ნაწარმოებისაგან როგორ ერთნაირად მხატვრულად სრულყოფილ და ემოციურად სავსე სპექტაკლებს ქმნიდა, მის ხელში ერთნაირად ძლიერ შთაბეჭდილობას იძენდა ზღაპარი, რომანტიკული თუ უაღრესად რეალისტური, თანამედროვე თუ ისტორიული თემზე დაწერილი პიესა. მისი სპექტაკლები უურადლებას იქცევდნენ ბუნებრივობით, თავისთავადობითა და სიმსუბუქით. ნორჩი მყურებლები ინტერესით უყურებდნენ და მღელვარედ განიცდიდნენ სცენაზე მომდარ ამბებს, დარბაზში ვერც ერთ გულგრილად განწყობილ მყურებელს ვერ აღმოაჩენდით, თითოეული შინაგანად დაძაბული ემზარებოდა სცენურ მოქმედებას და შინ გონებაგამდრელებული მიდიოდა. თაყაიშვილს თითოეული დადგმა საეტაპო იყო და გარკვეულ ახალ საფეხურს ჰქმნიდა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. საქმარისა გავისხენით მისი თუნდაც რამდენიმე დადგმა („რობინ ჰუდი“, „ფრიც ბაუერი“, „სურამის ციხე“, „წითელი ჯიქა“, „კაცი შავი სათვალეებით“, „სკაპენის ოინები“, „პატარა კახი“, „შორელი გზით“, „პატარა მეომრები“, „პირველი ცოლის მორჩულება“, „რომეო და ჯულიეტა“, „შემოსავლიანი ადგილი“), რომ მაშინვე ჩვენს თვალწინ ცოცხლად წარმოსდგეს დიდი კულტურისა და გემოვნების შთაგონებული ხელოვანი, რომელმაც შექმნა ფართო მასშტაბისა და საკუთარი სტილის საბავშვო თეატრი.

აღ. თაყაიშვილი ერთი პირველთაგანია იმ ხუთი-ოდე უნიჭიერეს ქართველ რეჟისორთა შორის, რომლებიც კი შეიმღებდა დაჯანსაღოლო კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ამბრელოს შემდეგ. მისი ფართო შემოქმედებითი დიპლომატი და დაუღალავი უანგარო მოღვაწეობით მოხიბლული საზოგადოება მისადმი მუდამ დიდი პატივისცემით იყო გამსჭვალული და სამართლიანად მიჩნდა იგი ქართული მოზარდ მყურებელითა თეატრის მამად. ამ თეატრს დღესაც თაყაიშვილის თეატრს უწოდებენ. და რა დასანანიოა, რომ ეს საზოგადოებრივი აღიარება ფორმალურად კერ კიდევ განმტკიცებული არ არის.

იანშია ქარაიშვილი

ამას წინათ „მეცნიერებამ“ გამოსცა ალექსანდრე გვახარიას ნაშრომი: „სპარსული ხალხური დასთანების ქართული ვერსიები. ბახთიარ-ნამე“.

უნდა აღინიშნოს, რომ „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიები მნიშვნელოვან როლს წარმოადგენს ქართულ-სპარსულ ლიტერატურათა ურთიერთობის იმ გრძელ ქაჭვისა, რომლის სათავეებს შორეულ წარსულში მივყავართ.

ქართულ ლიტერატურაში „ბახთიარ-ნამეს“ ორი ვერსია გვაქვს: ა) აღორ-ძინების პერიოდისა, ვახტანგ მეექვსის თაოსნობით შეისრულებული, რომლის მთარგმნელი უცნობია და რომელსაც პირობითად ვახტანგისეულს უწოდებენ; ბ) უფრო გვიანდელი ხანისა, ალექსანდრე სულხანიშვილის მიერ გადმოთარგმნილი (1828 წ.).

„ბახთიარ-ნამეს“ სხვა რედაქციებს ქართული მწერლობა არ იცნობს. რაც შეეხება ამ ორ რედაქციას (ვახტანგისეულსა და სულხანიშვილისას), შეიძლება ვარკვევით ითქვას, რომ ქართველი მეცნიერების მიერ მათი სპარსული წყაროები გამოკვლეულია და სათანადოდ შესწავლილი. ასე, მაგალითად, პირველი რედაქცია (ვახტანგის დროისა) „ბახთიარ-ნამეს“ სპარსულ ხალხურ რედაქციაზე ყოფილა დამოკიდებული, რომლის შემუშავება XVI საუკუნეში ივარაუდება; ხოლო მეორე — სულხანიშვილისეული კი, XV საუკუნის პოეტის ფანაპის მიერ გალექსილი ვერსიაზე, რომლის წყარო, როგორც თვითონ გამლექსავი ამბობს, „ბახთიარ-ნამეს“ პროზაული რედაქცია ყოფილა.

სხვადასხვა დროს აღნიშნული თხზულების ქართული თარგმანების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების მკვლევართ — კ. კეკელიძეს (ქართ. ლიტ. ისტორია, ტ. II, 1958, გვ. 471-472), ალ. ბარამიძეს (ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიისათვის, ლიტ. ძიებანი, ტ. IV, 1948, გვ. 129-137), ტრ. რუხაძეს (ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში, 1939, გვ. 217-243), დ. კობიძეს (ბახთიარ-ნამეს ქართული ვერსიების შესახებ, საქ. მეც. აკად. მოამბე, ტ. VI, № 3, 1945, გვ. 235-243) და სხვებს. მაგრამ ასეთი ვრცელი და, შეიძლება ითქვას, ყოველმხრივ ამომწურავი გამოკვლევა სპარსული და ქართული ვერსიების შესახებ, როგორცაც ალ. გვახარიას ნაშრომი წარმოადგენს, დღემდე სამეცნიერო ლიტერატურას არ გააჩნია.

ავტორს დაწვრილებით აქვს მიმოხილული საკითხის ისტორია, ვრცელ ცნობებს გვაწვდის სპარსული პროზაული და პოეტური ვერსიების შესახებ, გულდასმითა და დიდი დაკვირვებით აქვს შედარებული ქართული რედაქციები სპარსულ წყაროებთან და სავსებით მართებული დასკვნები გამოაქვს ქართულის სპარსულთან დამოკიდებულების შესახებ.

მისი აზრით, ვახტანგის დროინდელი ტექსტის მთარგმნელი ზუსტად მისდევს ორიგინალს, მაგრამ იძლევა მის მხატვრულ და არა პედაგოგიკულ თარგმანს. ქართულ ტექსტს ზოგჯერ შემონახული აქვს ისეთი დეტალები თუ ეპიზოდები, რომელნიც არ ჩანან დღეს ჩვენს ხელთ არსებულ სპარსულ წყაროებში, მაგრამ რომელთა დენდისმიერობა უდავოა; ამდენად, ქართულ თარგმანს დიდი როლი ენიჭება ხალხური ვერსიის ტექსტოლოგიური შესწავლისას (გვ. 48).

ფანაპისეული (პოეტური რედაქციის) ქართული ვერსიის სათანადო წყაროსთან შედარების შედეგად მკვლევარი მიიღის იმ დასკვნას, რომ ქართულ თარგმანს შემოუნახავს ფანაპისეული ვერსიის უფრო სანდო და აღრინდელი ტექსტი, რომ ის გამოსადევია სპარსული ტექსტის კვლევისათვის (გვ. 70).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფანაპისეული ქართული რედაქცია იმითაცაა საყურადღებო, რომ სპარსული ტექსტების დაზიანების გამო, დღესდღეობით იგი ერთადერთი წყაროა, რომელსაც შემოუნახავს „ბახთიარ-ნამეს“ პოეტური რედაქციის ავტორის ბიოგრაფიული ცნობები, რასაც ასე სრულად სპარსულ ხელნაწერებში ვერ ვხედავთ.

მკვლევარი ჩერდება ქართულ-სპარსული ტექსტების ამ ნაწილში მოხსენებულ ქალაქ „ვეისის ყარანზე“. აღნიშნულის შესახებ ჩვენ ადრევე ვფიქრობდით, რომ ის მაკედონიაში მდებარე ქალაქი კარა-ვერიაა (ძველი ბერონა) და ამ სახელსაც ამის მიხედვით ვკითხულობდით: ვეირის ყარანი (გვ. 238).

ამასთან დაკავშირებით ალ. გვახარია შენიშნავს, რომ სპარსულ-ქართული ტექსტები აქ კითხულობენ ვეისე ყარანს (იგივე ვეის-ყარან), როგორც ადგილის სახელს; ვეის-ყარანი კი ეწოდება ერთ სუფის, მუჰამედის თანამედროვეს; შესაძლებელია აქ გეოგრაფიული პუნქტიც იგულისხმებოდეს და მისგან ნაწარმოები ნისბაცო (გვ. 66).

აღნიშნული ვეის-ყარანი, უფრო სწორად უვეის-ყარანი (შეიძლება წავიკითხოთ ოვეისი), მართლაც იყო მოჰამედის თანამოღვაწეთაგანი. იგი 657 წელს მოკლეს. მის სახელთანაა დაკავშირებული ციხე-სიმაგრის „კიფ-უნზურის“ (შეჩერდი და შემომხედე) მახლობლად მდებარე მეჩეთის აგება; იგი მოხსენიებულია ნასირი ხოსროვის (XI საუკ.) „საფარ-ნამეშიც“ (მოგზაურობის წიგნი).

სპარსულ-არაბული დამწერლობის მიხედვით აქ, როგორც ალ. გვახარია ვარაუდობდა, მართლაც ნისბაა (ყარანი-ყარანელი), მაგრამ იმ გეოგრაფიული პუნქტის ადგილმდებარეობა კი, რომელიც „ბახთიარ-ნამეში“ იხსენიება, საიდანაც შესაძლებელია ვეის თუ უვეის ყარანი წარმოშობით ყოფილა, კვლავ საძიებარია.

აქვე იმასაც შენიშნავთ, რომ უვეისი ცნობილ ვულერისს ლექსიკონშიც იხსენიება, როგორც მოჰამედის ერთი მოწაფეთაგანის სახელი, ხოლო ყარანი განმარტებულია, როგორც უვეისის წინაპართაგანის სახელი.

გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ აღნიშნული გეოგრაფიული პუნქტი თავისი არსებობის მანძილზე (იგი ფანაპის დროსაც არსებობდა), ცნო-



ბილი ირანული ეპოსის გმირის ვისის სახელს ატარებდა. ირანელები ამ სახელს გამოთქვამენ, როგორც ვეისს. ვეისე ყარან ნიშნავს ვეის ყარანის ასულს. განა ყარანი არ ეწოდებოდა ვისის მამას?

აღმოსავლეთში და სხვაგანაც იშვიათი როდია შემთხვევა, რომ ამა თუ იმ ქალაქს ეპოსის რომელიმე გმირის სახელი რქმოდეს. ცნობილია, მაგალითად, რომ შუა აზიაში მდებარე ქალაქ სამარყანდს ძველად ირანული ეპოსის გმირის სახელი აფრასიაბი ერქვა.

მართალია „ვისრამიანი“, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ, XI საუკუნეშია შეთხზული პოეტ ჯახრ ედ-დინ გო. კანელის მიერ, მაგრამ მის გმირებს აღმოსავლეთის ხალხები ადრევე, ფალაური ვერსიის მეშვეობით იცნობდნენ.

„ბახთიარ-ნამეს“ ლექსით ვერსიაში გეოგრაფიული პუნქტის ვეისე ყარანის მახლობლად მოხსენიებულ „ვეისე ყარან ტკილმოუბარში“ უფრო „ვისრამიანის“ გმირი ყარანის ასული ვისი უნდა იგულისხმებოდეს, ვიდრე VII საუკუნეში მოღვაწე რომელიმე სუფი.

წიგნში მოთავსებულ საინტერესო გამოკვლევას თან ერთვის „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტები, ლექსიკონი, რეზიუმე რუსულ ენაზე და საძიებლები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი თარგმანის ტექსტი 1948 წელს გამოაქვეყნა ალ. ბარამიძემ („ლიტ. ძიებანი“, ტ. IV, გვ. 138-173). ამ გამოცემას მან საინტერესო ნარკვევი წაუძღვარა. ვახტანგის დროის თარგმანი, რომლის შესახებ ვსჯელობთ, მხოლოდ ერთადერთი (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1787) ხელნაწერთაა შემონახული.

ეს გარემოება გამომცემელს, რაც არ უნდა გამოცდილიც იყოს ის, გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის. შეიძლება აღინიშნოს, რომ იგი ურთოდ არ ყოფილა გამოცემული და მან გარკვეული როლიც შეასრულა ძველის შესწავლის საქმეში, მაგრამ მიუხედავად ამისა, სპარსული ტექსტების მოშველებით, როგორც ალ. გვახარია აღნიშნავს (გვ. 81), მოხერხებულა მასში ზოგიერთი საჭირო გასწორების შეტანა.

რაც შეეხება ალ. სულხანიშვილის მიერ შესრულებულ „ბახთიარ-ნამეს“ თარგმანს, იგი ორი ხელნაწერთაა ჩვენამდე მოღწეული: ა) საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული ხელნაწერით 367 და ბ) სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების E 58 ნუსხით. ტექსტის გამოცემა ორივე ხელნაწერს ემყარება.

ამრიგად, ალ. გვახარიას ნაშრომის სახით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას და საერთოდ ორიენტალისტიკას შეემატა საყურადღებო წიგნი, რომელშიც დაბეჭდილია „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების სრული ტექსტები. მათ წამოღვარებული აქვთ საინტერესო გამოკვლევა როგორც ქართული, ისე სპარსული რედაქციების შესახებ და იშვიათ სიტყვათა ლექსიკონი.

რამდენიმე შენიშვნა გვაქვს:

1. ჩემი აზრით, სადავოა წიგნის დასათაურება. მართალია, არსებობს ამა თუ იმ თხზულების, ამ შემთხვევაში „ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსიები, მაგრამ მათ გვერდით არსებობს აღნიშნული ნაწარმოების ლიტერატურული დამუშავებანიც; მაგალითად, დაყაიყისეული „ბახთიარ-ნამე“, რომელიც როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „მალაფარდოვანი სტილით, შინაგანი რიტმითა და რითმებით გაწყობილ ტექსტს წარმოადგენს“ (გვ. 11), ცხადია, ხალხურ ვერსიებზე მაღლა დგას.

საკითხავია, ასეთ ვითარებაში რა მოტივებით შეიძლება იგი და მასთან ერთად სხვა ლიტერატურული, მათ შორის პოეტური, რედაქციები გვერდით დაუყენოფ მდებოდ, საზღაპრო ენით დამუშავებულ ხალხურ ვერსიებს, წაეშა-

ლომ მათ შორის არსებული მხატვრული განსხვავებანი, გამოსახვის საშუალებანი, პოეტური აზროვნების გზები, ლიტერატურულად გავათანაბროთ ისინი და მათ ყველას „ხალხური დასთანები“ უწოდოთ?

2. ძნელად შეძლება დავეთანხმობთ აგრეთვე მკვლევარის მტკიცებას, თითქოს „ანონიმური მთარგმნელი (მხედველობაშია ვახტანგის დროინდელი თარგმანი) აგრძელებს ქართული კლასიკური პროზის საუკეთესო ტრადიციებს და იგი ბუნებრივად შემოდიოდა იმ რეალში, რომელიც კრავს ერთი მხრივ „ვისრამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანს“, მეორე მხრივ — „სიბრძნე სიცრუის წიგნს“ და „რუსულდანიანს“ (გვ. 49).

რაც არ უნდა დაკვირვებით იქნეს შესწავლილი აღნიშნული თხზულების ქართული თარგმანი, იგი, წინააღმდეგ ალ. გვახარაას მტკიცებისა, მაინც არ ჩაითვლება მალაღმბატრულ ნაწარმოებად და მისი მთარგმნელი დიდოსტატად.

დიდი ლიტერატურული თხზულებების — „ვისრამიანისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ გვერდით „ბახთიარ-ნამეს“ ხალხური ვერსიის ქართული თარგმანის დაყენება მისი მეტრისმეტად გადაჭარბებული შეფასება იქნება, რაც ალ. გვახარაას მხრივ საკითხის კვლევის სიყვარულით უნდა აიხსნას, და არა რეალურად არსებული ლიტერატურული ფაქტებით.

3. ჩემი აზრით, არ იყო საჭირო ხმოვანწაკლული სიტყვების ვარიანტებში მოქცევა და მით სქოლიოების გადატვირთვა. აღნიშნული მოვლენის შესახებ გამოკვლევაშია საუბარი და ის მკითხველისათვის, ვფიქრობთ, საკმარისი იქნებოდა.

4. საჭირო იყო ლექსიკონის სრული სახით წარმოდგენა; მაშინ განმარტებული იქნებოდა ისეთი სიტყვები, როგორცაა არზა (თხოვნა, საჩივარი) და სხვა მისთანანი, რაც ტექსტებში გვხვდება და ლექსიკონში კი მათ ვერ ვპოულობთ.

„ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიები ენობრივად ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდება. პირველი რედაქცია (ვახტანგის დროისა) აღორძინების პერიოდის სალიტერატურო ქართულის ნორმების დაცვას ცდილობს და მეორე კი — გარდამავალი ხანისას. ამ ორი ძეგლის გადმომღებთა მთარგმნელობითი მეთოდები, სპარსული სიტყვების, საკუთარი სახელებისა და გეოგრაფიული ტერმინების გადმოცემის გზებიც სხვადასხვაგვარია.

საინტერესოა, რომ პირველი მთარგმნელი თითქოს უფრო იცავს სპარსულ გამოთქმებს, ვიდრე მეორე. მაგალითად, მთავარი გმირის სახელს ის ბახთიარად გადმოსცემს (სპარსულადაც ასევე გამოითქმის), იმ შემთხვევაში, როცა მეორე რედაქციის მთარგმნელი მას ბახთიარად კითხულობს. ეს უკანასკნელი ფორმა კი ქართულისათვის უფრო ბუნებრივი ჩანს. თ ბგერა თანხმოვნებთან მეზობლობაში ქართულში გადმოსულ სიტყვებში გამკვეთრებულია. ამიტომაც, რომ „გულისთანის“ ნაცვლად „გულისტანი“ და „ბოსთანის“ ნაცვლად „ბოსტანი“ გვაქვს და სხვ. ასე, რომ ბახთიარი ქართულისათვის სავსებით წესიერ ფორმად უნდა ჩაითვალოს.

აქვე აღვნიშნავთ რომ პირველ თარგმანში ზოგიერთი სიტყვა, როგორცაა მაგალითად ზრიდ (ხარიდ-ნაყიდი, ნავაქრი), ჯავარფრუში (ჯავარფორუმ — მარგალიტი მოვაჭრე) და სხვა მისთანანი უთარგმნელადაა დატოვებული.

ყველაფერიდან ჩანს, რომ მთარგმნელს შეეძლო მათი გადმოქართულება. მთელ რიგ შემთხვევებში იგი შესანიშნავად უყენებს ამა თუ იმ სპარსულ სიტყვას ქართულ შესატყვისებს და მათ შინაარსსა და მნიშვნელობას მკითხველისათვის გასაგებს ხდის. ასე, მაგალითად, სპარსული **ვანდეფირის** (მისრწინილი დედაბერი) საბადლო მას გამოყენებული აქვს **მოღდეგნებუღი**, მსგავსი შემთხვევისათვის, **დედეწავლილი** (ფირე ზანის სანაცვლოდ), **მხინჯავი** ხაზრი (ფრთხილი, მომთმენი, ამტანი) სიტყვის შესატოლელად და სხვა მისთანანი.

მაგრამ ჩვენთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი მიზეზების გამო, როგორც აღინიშნა, მთელი რიგი სპარსულ-არაბული სიტყვები უთარგმნელადაა დატოვებული.

ამავე დროს, ისიც უნდა ითქვას, რომ მთარგმნელს ზოგი სიტყვა გადმოაქვს არა სპარსული გამოთქმის, არამედ მისი ორთოგრაფიის მიხედვით; სხვათადასა, რომ ვთქვათ, სიტყვებს კითხულობს არა სავარაუდო მოკლე ხმოვნების ჩართვით, არამედ ისე, როგორც ისინი იწერება. ამიტომაცაა, რომ ხარიდ სიტყვის ნაცვლად (და არა ხარიდეს ნაცვლად, როგორც ფიქრობს გვახარაია), გვაქვს **ხარიდი**, ფურუმ-ფორუმის ნაცვლად **ფრუმ**-ი, ფადეშა-ფადიშას სამაგიეროდ **ფადშა** და სხვა მისთანანი, რაც, ვფიქრობთ, საინტერესო ენობრივი ფაქტია.

სპარსულ-არაბული სიტყვების უთარგმნელად დატოვების შემთხვევები მეორე რედაქციაშიც დამკვიდრებულია. ასე, მაგალითად, ტექსტში გვხვდება: მასლათი (პუბა, თათბირი, რჩევა), ლავაზი (მყენინათევი), ყაზი (მოსამართლე) და სხვა მისთანანი; მაგრამ პირველ მთარგმნელისაგან განსხვავებით, ალ. სულხანიშვილი ტექსტში იძლევა უთარგმნელად დატოვებული სიტყვების ახსნა-განმარტებებს. ასე, მაგალითად, მასლათის გვერდით მიუწერია „რჩევა“, ყაზის გვერდით „არჩიერი“ და სხვ.

როგორც ეტყობა, ალ. სულხანიშვილი ჯერ კიდევ სპარსულ-არაბული ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობათა ვარიანტს არჩევს და შესაძლოა მას საბოლოოდ ტექსტი მთლად გაეწმინდა კიდევ, რომ მისთვის რაღაც მიზეზებს ხელა არ შეეშალა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სპარსულ-არაბული სიტყვა, რაც ბახთიარ თუ „ბახთიარ-ნამეს“ ვერსიებში გვხვდება, როგორცაა, მაგალითად, აზატი, ალაჯი, ბეზანი და სხვ., ჩვენში აღრევა შემოსული და დამკვიდრებული.

საქმე ისაა, რომ სპარსულიდან ნათარგმნი ძეგლების ლექსიკის შესწავლა ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არა დგას. მის კვლევას კი დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ქართული ლექსიკისა და ენის შესწავლისათვის. ჩვენ კარგად უნდა გამოვივლიოთ, თუ რა შინაარსს დებს ესა თუ ის მთარგმნელი ამა თუ იმ სიტყვაში, დედანში ხმარებულ სიტყვებს რომელ ქართულ სიტყვებს უსადაგებს და როგორ ესმით მათი მნიშვნელობა.

მკითხველს შეიძლება სურდეს იცოდეს ჩაშ (ჟა, ორმო) სიტყვის გადმოსაცემად მთარგმნელს მხოლოდ **ჭურღმული** აქვს გამოყენებული, როგორც ამას ლექსიკონი გვაცნობებს, თუ სხვა ტერმინებიც. ან ქართულში გამოყენებული **ჭინჯილი** ყველგან მოყაიიადს (შეკრული) შეეფარდება? ჭინჯილი ფალაური სიტყვაა (ზენჯირი), გვაქვს კლასიკურ სპარსულშიც, რაც ჭაქვს, ბორკილს ნიშნავს. შესაძლებელია ტექსტში მას ზოგჯერ სხვა სიტყვა ეტოლებოდეს, ვიდრე მოყაიიად.

ასეთი სახის ძიებანი ჩასატარებელია არა მარტო „ბახთიარ-ნამეს“ ქართული ვერსიების ტექსტებზე, არამედ ყველა ნათარგმნი ძეგლზე, რაც, ცხადია, ერთი კაცის შესაძლებლობას აღემატება. ნათარგმნი ძეგლების კარგი და სრული ლექსიკონები ამ მხრივ დიდ დახმარებას გავიწვევენ.

ალ. გვახარაას მიერ დიდი შრომა გაწეული როგორც ქართული ვერსიების წყაროების თვისებურებათა კვლევა-ძიების, ისე ქართული ტექსტების დადგენისა და გამოცემის თვალსაზრისით; მან ამ შრომით საგულისხმო წვლილი შეიტანა ქართულ-სპარსულ ფილოლოგიაში. საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დაკვირვებულმა შესწავლამ, შესანიშნავმა მეცნიერულმა აღმომ და სპარსულ-ქართული ენების ღრმა ცოდნამ გამოკვლევის დაწერისა და ტექსტების გამოცემის მაღალი დონე გააპირობეს. აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვან ადგილს დაიჭირებს ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევის ისტორიაში.

დავით კობიძე

## მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა

„დროშამ“ ამას წინათ გამოაქვეყნა დ. შუღლიაშვილის წერილი ზიჩის ასლად აღმოჩენილი სურათის პერსონაჟებზე (№ 10, 1971 წ.) წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ზიჩის სურათზე გამოსატყუნნი არიან ილიკო (იასონ) წერეთელი, აბაშიძე და ნაკაშიძე. შუღლიაშვილი ლიტერატურულ წყაროდ ასახელებს აკაკი წერეთლის „ჩემს თავგადასავალს“, სადაც პოეტის გადმოგვცემს პეტრე ბაგრატიონთან თავისი შეხვედრის ამბავს (ეს პეტრე იყო დიდი პეტრე ბაგრატიონის ძმის რომანოზის შვილი; იგი ნ. ბარათაშვილთან და ლ. მეღვიპიშვილთან ერთად სწავლობდა თბილისის გიმნაზიაში).

როცა აკაკი წერეთელი პირველად ჩავიდა პეტერბურგს, მისი ძმა — ილიკო სამხედრო სამსახურში იყო და პ. ბაგრატიონთან მსახურობდა კანვოიში. ილიკომ აკაკი ერთხელ ბაგრატიონთან მიიყვანა. ეს უკანასკნელი თურმე კარგ გუნებაზე იყო იმ დღეს და თქვა კიდევ მიზეზი: იმ დღეს კანვოლებს შედლუხში მონაწილეობა მიეღოთ, დამსწრე იმპერატორს ბაგრატიონისათვის სამჯერ მაღლობა გადაეხადა კარგად გაწვრთნილი ახალგაზრდების გამოყვანისათვის. სამმა ახალგაზრდა ქართველმა კანვოელმა თურმე ბრწყინვალედ შესარულა ვარჯიში. ესენი ყოფი-

ლან აბაშიძე, ამილახვარი და ანდრონიკაშვილი. მეოთხე ქართველს, გიორგი ნაკაშიძეს, მარცხი მოსვლიდა ცხენოსნობაში, თუმცა უუნებლად გადარჩენილიყო („ჩემი თავგადასავალი“, ნაწ. პირველი, თავი მესამე).

მეფის კარის მხატვარს მიხაი ზიჩის ეს სამი ახალგაზრდა, როგორც შედლუხში გამარჯვებულნი, დაუხატავს ცარსკოე სელოში. მათსადაამე, სავარაუდებელია, რომ ზიჩის სურათზე გამოსატყუნნი არიან სამსონ აბაშიძე, ამილახვარი და ანდრონიკაშვილი. სამსონ აბაშიძე მართლაც იყო კახოვი, პ. ბაგრატიონის რაზმში. ს. აბა-

შიძეს გეგუენის 1893 წელს „მწყემსში“ გამოქვეყნებული ცნობა, რომ მისთვის პ. ბაგრატიონს უამბინა ნ. ბარათაშვილთან მეგობრობაზე, რაც უფრო ადრე გამოქვეყნდა, ვიდრე ამ ამბავს აკაკი „ჩემ თავგადასავალში“ მოიხსენებდა.

ამრიგად, თუ მიხაი ზიჩის ნახატზე გამოსატყუნნი სამი ახალგაზრდა პ. ბაგრატიონის ნაამბობის გმირები არიან, მაშ ესენი ყოფილან სამსონ აბაშიძე, ამილახვარი და ანდრონიკაშვილი და არა სხვა ვინმე.

სოლომონ ხუციშვილი



ათონის ივერთა მონასტერში ჩვენი აღრიხვ-  
ლი გამოკვლევებით დადასტურებული იყო ორი სა-  
ავადმყოფოსა და ერთი ლებროზორიუმის არსებობა;  
მონასტრის ბიბლიოთეკა საქმოდ მდიდარი იყო  
სამედიცინო ლიტერატურით. წყაროებზე და კერ-  
ძოდ ავთიაქის ძეგლებზე შემდგომმა დაკვირ-  
ვებებმა დადასტურეს მედიცინისთან დაკავშირე-  
ბული კიდევ ახალი დაწესებულებების არსებობა:  
გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) თხზულებაში  
„ცხოვრება იოანესი და ეფთვიმესი“ ვკითხულობთ:  
„აპოთიკი და ბოსტანი და წიქულინი კელარისა  
საუბრანე იყვნეს და ამათგანსა რაიცა ვის ეხმარე-  
ბიან, კელარი ეურვიან ეკონომოსსა თანა და მამა-  
სახლისსა“. ეს „აპოთიკი“ იგივეა, რაც ლათინური  
apotheca — აფთიაქი. მაგრამ აქედ. ივ. ჯავახიშვი-  
ლი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „აპოთიკი — საწ-  
ყობი, ბეღელი“. ამ განმარტების წყარო ჩანს  
სულხან-საბა ორბელიანი (აპოთიკი — სახლი შე-  
სანახავისა), მაგრამ ნ. ჩუბინიშვილის ლექსიკონში  
უფრო კონკრეტულად არის განმარტებული: „აპო-  
თიკი — საუკუნაო... ხოლო საკუთრად ეწოდებოდა  
სამკურნალოთა წამალთა საცავსა“. აპოთიკის აფ-  
თიაქად აღიარება ექვს აღარ იწვევს, რადგან  
apotheca დღესაც აღიარებულია აფთიაქის საერ-  
თაშორისო სახელწოდებად.

აქედ ა. შანიძე თავის ერთ-ერთ უკანასკნელ  
შრომში „ტანუტერი თუ ოსტიგანი?“ („მნათობი“,  
№ 6, 1970 წ.) შეეხო რა ზემოხსენებულ ფრაგ-  
მენტს, წერს: „აფთიაქი, ბოსტანი, წიქული, ხი-  
ლი... ჩანს, ჩვენს გამოჩენილ მეცნიერს საეჭვოდ  
არ მიაჩნია, რომ აპოთიკი — აფთიაქია.“

აფთიაქი ქართულ სამონასტრო სისტემაში არ  
არის მოულოდნელი, საფთიაქო ოთახი დღემდე  
შემონახულია ვარძიის ნაგებობათა კომპლექსშიც  
(იხ. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXI,  
1958, პ. ფირფილაშვილი).

ჩვენი ყურადღება მიიქცია „ცხოვრებას“ ტექს-  
ტის კიდევ ერთმა ფრაგმენტმა: „მოსენაეთა კულა  
მოწაფენი ყოველსავე საეროსა სამსახურებელსა  
გავიღოდიან და მზარეულისადა დაემცნა, რათა  
მათი საქმელი მან შეუქმნას. და თუ საჭირო რაი-  
მე საქმე არა არს, მამისა მოწაფენი ძმათავე თანა  
წავიდიან. მსახურებასა და უფროსიჯერ მოსენანი-  
ცა ძმათა სათნოებისათვის ძმათავე თანა გავიდიან,  
უფროსი-და ოდეს მამა მუნ იყვის“ (იქვე, გვ. 83),  
ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვა „მოსენაეთა“, „მო-  
სენანიცა“ „ცხოვრებას“ გამოემკვმელთა მიერ გან-  
მარტებულია, როგორც „მოსენაეკი — სენაკში, გან-  
მარტობით მცხოვრები ბერი“. ივ. ჯავახიშვილი  
ასე განმარტავს მას: „მოსენაეკი — სენაკში მცხოვ-  
რები ბერი, როგორც ჩანს, ზოგ ბერს ცალკე ოთა-  
ხი ჰქონდა, უმეტესობა კი საერთო საცხოვრებელ-  
ში იყო. მოსენაეკის მოწაფეები ჰყავდა, ეს იყო, მა-  
შასადამე, წარჩინებული ბერი“. გამოჩენილი მეც-  
ნიერი გადაწყვეტით არ იძლევა მოსენაეს განმარ-  
ტებას, ჩვენს მიერ ხაზგასმული სიტყვები („რო-  
გორც ჩანს“, „მამასადამე“) სავარაუდოდ, სათუო  
ელფერს აძლევს მის ახსნას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ  
მოსენაე-მესენაე არ არის მოსენაე-მესენაე. იგი  
ნაწარმოებია სიტყვისაგან სენი — სნეულება, და  
მოსენაე-მესენაე ნიშნავს სნეულის მკურნალს,  
ექიმს. იგი მესნეულის სინონიმა და არა სენაკში  
მცხოვრები ბერისა (მესენაე-მოსენაე). ძველ ავი-  
ოგრაფულ ძეგლებსა და მხატვრულ ისტორიულ  
წყაროებში არსად არ გვხვდება სენა, სენაკის სი-  
ნონიმად, რომ მესენაეის ნაცვლად სიტყვა მესენაე  
ეწარმოებიათ. დღემდე შემორჩენილ „ცხოვრებას“  
9 ხელნაწერში (ყველაზე უადრესი, 1074 წლისა)  
27-ჯერ არის ნახსენები „მესენაე“-„მოსენაე“ და  
მხოლოდ სამჯერაა მოსენაე მოსენაეკით შეცვლილი.  
ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ძირითად ტექსტი-  
სეულ ვარიანტად უნდა მივიღოთ მოსენაე-მესენაე  
და არა მოსენაე-მესენაე, რაც გადაწყვეტის უნებ-

ლიე შეცდომა ან თვითნებური არასწორი შეცვლა.  
ტექსტის მონასტრის წესდებაში მკურნალის  
„შტატი“ გათვალისწინებულია „მეუძღურის“ სა-  
ხელწოდებით, თვით ათონის ივერთა მონასტრის  
აღაპებსა და ვაჰანის ქვაბთა მონასტრის წესდებაში  
კი — „მესნეულის“ სახელით; აი სწორედ ამ „მე-  
უძღურე“-„მესნეულის“ სინონიმად მიგვაჩნია ჩვენ  
მესენაე.

ტექსტის სათანადო ფრაგმენტებს თუ ერთგვარ  
შინაარსობრივ ანალიზს გავუყუთებთ, დავრწმუნ-  
დებით, რომ სხვა მოტივებიც არსებობენ ჩვენი მო-  
საზრების დასადასტურებლად.

დავავივრდეთ ტექსტს, ზემოთ მოყვანილი ტექს-  
ტის ცალკეულ ფრაგმენტებს:

1. „მოსენაეთა კულა მოწაფენი ყოველსავე სა-  
ეროსა სამსახურებელსა გავიღოდიან“. თუ მოსე-  
ნაეს, მოსენაეკი ბერად მივიღებთ, მაშინ შეუძლე-  
ბელ ფაქტთან გვექნება საქმე. ბერს, რომელიც სე-  
ნაკშია და განმარტებულ, ფანტატიკურ მსახურებას  
ეწევა, შეუძლებელია ჰყავდეს მოწაფეები, რომლე-  
ბიც „ყოველსავე საეროსა სამსახურებელსა“ ას-  
რულდებენ. ასეთი ბერი შორსაა ყოველგვარი „სა-  
ეროსაგან“. მაგრამ სრულიად უწინდებრივია, რომ  
მოსენაეს, ჩვენი გაგებით, იგივე მესნეულს ჰყავ-  
დეს მოწაფენი სწორედ ისეთები, რომლებიც გა-  
დიან მხოლოდ „საერო“ მსახურებას, რადგან მე-  
დიცინა „საერო“ მეცნიერებად ითვლებოდა იმ  
დროს და შემდეგაც.

2. შემდეგ, აგრძელებს გიორგი მთაწმინდელი.  
„ცხოვრების“ ავტორი: „მზარეულისადა დაემცნა,  
რათა მათი საქმელი მან შეუქმნას“ — ე. ი. მონ-  
ასტრის წინამძღოლის მიერ სპეციალური განკარ-  
გულება გაცემული, რომ „მოსენაეთა“ მოწაფეე-  
ბისათვის მონასტრის სამზარეულოდან გასცეს საქ-  
მელი. ბერთა და მონაზონთა სასულიერო „მოწა-  
ფეთათვის“. არ იქნებოდა საჭირო განსაკუთრებუ-  
ლი განკარგულება გაცემულიყო, რადგან ასეთი  
ღვთისმსახურნი და მათი კვება თვით მონასტრის  
ჩვეულებრივი სტრუქტურითაა გათვალისწინებული  
და თავისთავად იგულისხმება მათი კვებით უზ-  
რუნველყოფა; ავტორმა თავის აღწერილობაში სა-  
განგებოდ ხაზი იმითმ გაუსვა და აღნიშვნის ღირ-  
სად ეს ფაქტი. იმითმ გახადა, რომ „მოსენაეთა  
მოწაფენი“, რომლებიც „საერო“ მსახურებას გა-  
დიან, არ არიან მონასტრის საქმიანობისათვის ჩვე-  
ულებრივნი.

3. მომდევნო წინადადებაში ვკითხულობთ:  
„და თუ საჭიროი რაიმე საქმე არა არს, მამი-  
საცა მოწაფენი ძმათავე თანა წავიდიან. მსახურება-  
სა და უფროსიჯერ მოსენანიცა ძმათა სათნოები-  
სათვის ძმათავე თანა გავიდიან, უფროსიდა ოდეს  
მამა მუნ იყვის“. ჩვეულებრივად მონასტრის სა-  
მეურნეო საქმიანობას, დიდძალი მამულის მოვლა-  
პატრონობას, თვით ბერები, მონაზვნები „ძმები“,  
ეწეოდნენ, მაგრამ ამ ტექსტით ირკვევა, „მსახუ-  
რებას“, სამონასტრო საქმიანობას, „მამის“ მოწაფე-  
ებთან და „ძმებთან“ ერთად „მოსენანიც“ ეწეოდ-  
ნენ, „ძმების მიმართ“ პატივისცემისა, სიყვარული-  
სა და თანაგრძნობის ნიშნად („ძმათა სათნოებისა-  
თვის“). ამგვარად, აქ განსხვავებულია ურთიერთ-  
საგან „მამის მოწაფენი“ „მოსენაეთა მოწაფეთა-  
გან“ და თვით „მოსენანიც“ „ძმებისაგან“; აქ აშ-  
კარად ჩანს, რომ „მამები“ და „ძმები“ სხვანი  
არიან და „მოსენანი“ სულ სხვა.

4. კიდევ ერთ გარემოებას შეიძლება მივაქ-  
ციოთ ყურადღება:

„უშუალად მოსენაეთადა გავწესა წმიდასა მამასა  
ჩუენსა, და უკეთუ პური დაუშთის არა აქუნს ხელ-  
მწიფეზაი სადავე მიცემად, არამედ კელარსავე  
მისციან“, ე. ი. მონასტრის წინამძღოლს დაეწესე-  
ბინა „მოსენაეთათვის“, რომ თუ პური დარჩებო-  
დათ მათ, უფლება არ ჰქონდათ ვინმესთვის მიე-  
ცათ იგი, უნდა დაებრუნებინათ კელარისათვის. არ

შეიძლება ამ შემთხვევაში „მესენაედ“ იგულისხმე-  
ბოდეს „მესენაეკი“ ბერი, რომელიც განმარტოე-  
ბით, ერთადერთი, ცხოვრობდა სენაკში, რადგან  
იგი მიიღებდა მხოლოდ ერთ ულუფა პურს და ამ  
ერთ ულუფიდან მორჩენილი პური ალბათ არც  
კელარს დაუბრუნდებოდა უკან და არც საგანგებ-  
ო აღნიშვნის მოვლენა გახდებოდა იგი ავთიაქის  
ფილიალის ძეგლისათვის. აქ უთუოდ ლაპარაკია „მო-  
სენაეებზე“ — ანუ მესნეულებზე, ექიმებზე, რომ-  
ელთაც ჩანს მოწაფეთა მთელი ჯგუფი ჰყავდათ;  
მათთვის ისინი ღებულობდნენ კელარისაგან, რო-  
გორც ირკვევა, პურის ულუფას ერთბაშად ჯგუ-  
ფისათვის, აი აქ მორჩენილი პურის უკან დაბრუ-  
ნებაზეა უთუოდ ლაპარაკი ტექსტში.

მესენაე, რომელსაც მოწაფეები ჰყავს, სხვა არა-  
ფერია, თუ არა და მასწავლებელი, რომელიც მე-  
დიცინას ასწავლის, ეს კი თავისთავად გულისხმობს  
ათონის ივერთა მონასტერში სამედიცინო სასწავ-  
ლებლის არსებობას.

მონასტრის, სადაც სამი საავადმყოფო არსე-  
ბობდა მთელი თავისი დამხმარე ნაგებობებით, აფ-  
თიაქით, სამედიცინო ლიტერატურით მდიდარი  
ბიბლიოთეკით, მოსალოდნელი და ბუნებრივიაა  
სამედიცინო სასწავლებელიც ჰქონოდა. ცნო-  
ბილია, რომ გიორგი მთაწმინდელმა ერთ-ერთი ჩა-  
მოსვლის დროს საქართველოდან 80 მკირეწლოვა-  
ნი ბავშვი წაიყვანა, ბავშვთა ამ რაოდენობით 7-8  
სასკოლო კლასის დაკომპლექტება ხდება; ვფიქ-  
რობთ, ამ კონტინენტიდან ბევრი სამედიცინო სა-  
სწავლებლის მომავალი მოწაფეები იყვნენ. ამავე  
ხანებში გ. მთაწმინდელმა იქ თარგმნა ანატომიურ-  
ფიზიოლოგიური ტრაქტატი გრ. ნოსელის „დაბა-  
დებისათვის კაცისა“, ვფიქრობთ, რომ მისი თარგ-  
მნა ათონის ივერთა მონასტრის სასწავლო საჭი-  
როებით იყო გამოწვეული, როგორც ამ სასწავ-  
ლებლის ანატომია-ფიზიოლოგიის სახელმძღვანე-  
ლოსი. გიორგი ხუცესმონაზონი, გ. მთაწმინდელის  
ცხოვრების აღმწერი, ეხება რა მის „ბრწყინვალე“  
(მისივე სიტყვაა) მთარგმნელობით მუშაობას, ჩა-  
მოთვლის 18-მდე თეოლოგიურ და სხვა სახის  
თხზულებებს, მათ შორის ასახელებს წიგნს „დაბა-  
დებისათვის კაცისა“: „წიგნი გრიგოლ ნოსელისა,  
რომლისა შეენიერებაი და ქებაი ზემთა არსს ყოვე-  
ლისა მოთხრობისა; ჩანს, ეს წიგნი დიდად მოწო-  
ნებული იყო, მისი გამოყენება კი როგორც ანა-  
ტომია-ფიზიოლოგიის სახელმძღვანელოსი, შესა-  
ძლებელი ხდებოდა მხოლოდ სამედიცინო სასწავ-  
ლებელში. ამგვარად: 1. „იოანესა და ეფთვიმეს  
ცხოვრებაში“ სიტყვები „მოსენაე“-„მესენაე“, უნ-  
და გავიგოთ, როგორც სნეულის მომვლელი, მეუძ-  
ღურისა და მესნეულის სინონიმად და არა მოსენა-  
ეკი ბერად. 2. „აპოთიკად“ ტექსტში იგულისხმება  
აფთიაქი, სამკურნალოწამლო საშუალებათა საცავი  
და არა ჩვეულებრივი საწყობი, ბეღელი. 3. ამ სიტ-  
ყვების ასეთი გაგება და კონტექსტში მათი შინაარ-  
სობრივი ანალიზი, საშუალებას იძლევა დავასკვნ-  
ნათ, რომ XI საუკუნეში, ათონის ივერთა მონას-  
ტერში საავადმყოფოებთან და ლებროზორიუმთან  
ერთად, არსებობდა აფთიაქი და სამედიცინო სა-  
სწავლებელი.

პროფ. მის. შინაძე

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სახ. ინსტიტ.  
ბიბლიოთეკა

# მოზაიკა

## დავინანებული გადაწყვეტილება




თუ არ მოატყუე,  
ვერ იყიდი

ამერიკის შეერთებულ შტატებში, თვითმომსახურების მაღაზიებში მყიდველები ბოლო ხანებში ერთ ეშმაკურ ხერხს მიმართავენ: საქონელს კი არ იპარავენ, არამედ ფასის აღმნიშვნელ ეტიკეტებს უცვლიან. მაგალითად, საქონელზე, რომელიც ღირს 150 დოლარი, მყიდველი ხსნის წარწერას და აწებებს მას ეტიკეტს იმ საქონელიდან, რომელიც 50 დოლარი ღირს; ამის შემდეგ მიღის იგი საღაროში ფულის გადასახდელად. ასეთი მომხმარებლის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით ძნელია. ზოგიერთ მაღაზიებში ეტიკეტებს აწებებენ ეკლიანი მავთულით, ზოგან კი იყენებენ თხელ ქინძისთავებს, რომლებიც ეტიკეტის ახსნის ცდის დროს მუხივებ ტყდება. ზოგჯერ იყენებენ ასეთ მეთოდსაც: მოღარებებს, რომლებიც აღმოაჩენენ თაღლითებს, უხდიან მცირე რაოდენობის პრემიებს. დანაშაულის ადგილზე დაჭერილი მყიდველები თავს იმართლებენ იმით, რომ ისინი ამ გზით იბრძვიან ფასების გაზღვივებელი წრდის წინააღმდეგ.



ზარის ნაცვლად —  
გულგულის გალოზა

ამერიკის შეერთებულ შტატებში აშუამად დიდი მოწონებით სარგებლობს ტელეფონის აპარატები, რომელთა დანიშნულებაა (როგორც მისი კონსტრუქტორები ირწმუნებიან), ნერვები დაუშვადოს ადამიანს. ზარის წკრიალის ნაცვლად ეს აპარატები ფლუტის ან კლარნეტის სასიამოვნო ხმას გამოსცემენ. ზოგიერთი აპარატიდან მერცხლის ჭიკჭიკის ხმა ისმის, ხოლო უფრო ძვირი აპარატები, რომლებიც მდიდრებისათვისაა განკუთვნილი, ბულბულის გალობის ხმებს გამოსცემენ.




მოტოციკლების  
ბორბლებს ქვეშ

აშშ არმიის სერუანტი გლედილი ცოცხალი ადამიანების სხეულზე მოტოციკლით გადახტომის რეკორდსმენია. ამას წინათ გლედილი თავისი ძველი რეკორდი — 84 კაცი — გააუმჯობესა და მიწაზე ერთმანეთის გვერდით პირაღმა დამხობილ 41 ჯარისკაცს გადაახტა მოტოციკლით. გაზეთი „ინტერნეიშლ ჰერალდ ტრიბუნი“, რომელმაც ეს სენსაციური ცნობა გამოაქვეყნა, არაფერს ამბობს იმის თაობაზე, 41 ჯარისკაცი თავისი ნებით გავდა თუ არა ჰაერში ამხტარი მოტოციკლის ბორბლების ქვეშ.



თერმომეტრი და კოვზი

დასავლეთ გერმანიაში სპეციალისტებმა ბავშვებისათვის დაამზადეს მეტად ორიგინალური თერმომეტრი. რომელიც ჩამონტაჟებულია პლასტმასისაგან დამზადებულ ჩაის კოვზში, საკმარისია, ბავშვმა ეს „კოვზი“ 60 წამი ჩაიდოს პირში და მისი ტემპერატურა მაშინვე ცნობილი იქნება. აბა რომელი ბავშვი, თვით ძალიან ჩიუტი და ჭირვეულიც კი, იტყვის უარს, პირში ჩაიდოს ასეთი კოვზი, მით უმეტეს მაშინ, თუ ამ კოვზზე ტკბილი და ნუგბარი რამ ძვეს!



რა ღირს პარკი  
მწარლის სპეცოგრაფი?

ნიუ-იორკში ამას წინათ გამოსცეს სპეციალური კატალოგი, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი, თუ რა ღირს ამა თუ იმ გამოჩენილი მწარლის ავტოგრაფი. ასე, მაგალითად, ჩარლზ დიკენსის ავტოგრაფი 180 დოლარი ღირს, ჰერბერტ უელსისა — 86 დოლარი, ჰემინგუეისა — 72 დოლარი, ბერნარდ შოუსი — 84 დოლარი, მოპსანის — 108 დოლარი და ა. შ. აი რას წერს ამის თაობაზე ნიუ-იორკის ერთ-ერთი გაზეთი: „საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ავტოგრაფებით გაცილებით უკეთესად შეიძლება იცხოვრო, ვიდრე მწერალი თავის დროზე ლიტერატურული ნაწარმოების ჰონორარით ცხოვრობდა“.

## დაზარალებული მილიარდერი

ცნობილია მილიარდერი ალის-ტოტელ ონასისმა სასამართლოში უჩივლა ბერძენ ფოტოკორესპონდენტს ანტონ კალოგერაკოსს, რომელმაც მილიარდერის ბაღში თურმე ორ ყვავილს ფეხი დაადგა და გადათელა. ფოტოგრაფი ბაღში შეიპარა იმ მიწით, რომ მილიარდერის ახლანდელი ცოლის — უაკლინ კენედის სურათი გადაედო. სასამართლომ ფოტოკორესპონდენტს 70 დღით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და დავალა აენაზლაურებინა ყვავილების გადათელით მიყენებული ზარალი.

გარეკანის პირველ გვერდზე: კონსტანტინე გამსახურდია. სურათი ქ. მაღალაშვილისა; მეოთხე გვერდზე — თბილისის ხედები. ფოტო თ. არჩვაძისა და ი. დვალისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურში-შიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღა, უ. ჯაფარიძე.



სამ კა ცა-ის გამომცემლობა

ტექნიკური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.  
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

გადაცევა ახსნობად მ/ХИ-71 წ. ხელმოწერილია დასახელებად 22/ХИ-71 წ. ქად. ზომა 70×108<sup>1</sup>/<sub>2</sub>. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 2. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,8. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,1 ტირაჟი 51.100. შეკვ. № 4257. უე 02256.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კა ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



კვირა დღე ქუთაისის ბაზარში.

ფოტო ა ჩარკვიანისა.

